ფეხმარდი ცხენის ამბავი

თარგმნა ნიკა აგიაშვილმა

1

სულ უფრორე მეტად მაღლდებოდა ცარგვალი, ციალებდნენ მქრქალად შევერცხლი-ლი ნამის წვეთები, თანდათან ფერმკრთალდებოდა ნამგალა მთვარე, ტყეს ავსებდა ხმიერება და ჟრიამული... ადამიანები უკვე დგებოდნენ და მებატონის ცხენთან ბაკებ-ში ხშირ-ხშირად ისმოდა ფრუტუნი, ჩალის ფაჩიფუჩი, ერთად თავმოყრილი და რა-ღაცაზე წაკინკლავებული ცხენების ბრაზიანი, გაანჩხლებული ჭიხვინი.

— აჩუ! მოესწრები, რამ დაგამშია! — წარმოთქვა მოხუცმა მეჯოგემ და სწრაფად გა-მოაღო აჭრიალებული ჭიშკარი. — სად ეჩრები? — შეუძახა მან და მათრახი მოუქ-ნია ჭიშკარში გაკვეტებულ ერთ კვიცს.

მერემე ნესტორს კაზაკურა ეცვა, ზედაც მობალთული ქამარი შემოერტყა და ხელსა-ხოცში გამოკრული პური ქამარზე ჩამოეკიდა. უნაგირი და აღვირი ხელში ეჭირა.

ცხენებს არც კი შეშინებიათ და სწყენიათ მერემეს დამცინავი კილო, თავი ისე მოაჩ-ვენეს, ვითომც ჩვენთვის სულ ერთიაო, და დინჯად ჩამოეცალნენ ჭიშკარს; მხოლოდ ერთმა დროულმა ფაფარიანმა წაბლა ფაშატმა დაწკურა ყურები და სწრაფად მოაბ-რუნა გავა. ამის გამო უკან მდგარმა ჯეელმა ფაშატმა, სულაც რომ არ ეხებოდა ეს ამბავი — დაიჭყვირა და წიხლი მიარტყა იქვე მდგომ ცხენს.

— აჩუ! — კიდევ უფრო ხმამაღლა შეუტია მერემემ და გაემართა ბაკის კუთხისაკენ.

თავლაში (ასამდე მაინც იქნებოდნენ) ყველაზე ნაკლებ სულწასულობას იჩენდა ერთი ამლაყი, ხატაველი ლაფშა. იდგა მარტოდმარტო კუთხეში ფარდულქვეშ და თვალ-დაწკურული ლოკავდა სათივის მუხის სვეტს. არავინ იცის, რა სიამოვნებას გვრიდა ეს ლაფშას, მაგრამ ამ დროს სერიოზული და ჩაფიქრებული კი იყო.

— ინებივრე! — კვლავ იმავე კილოთი მიმართა მერემემ, მიუახლოვდა და მის ახ-ლოს ნეხვზე დააწყო უნაგირი და გაქონილი საოფლე.

ლაფშამ თავი მიანება ლოკვას, და, უძრავად მდგარი, დიდხანს შეჰყურებდა ნესტორს. არ გაუცინია, არ გაბრაზებულა, არც მოღუშულა, მხოლოდ მუცელი აიწურა, მძიმე-მძიმედ ამოიხვნეშა და პირი იბრუნა. მერემემ კისერზე მოხვია ხელი და ლაგამი ამოსდო.

— აბა, რასა ხვნეში? — უთხრა ნესტორმა.

ლაფშამ ისე აიქნია კუდი, თითქოს ამბობდა: არაფერი, ეს ისე, ჩემო ნესტორ. ნეს-ტორმა საოფლე შემოადო და უნაგირი დაადგა. ამ დროს ლაფშამ დაცქვიტა ყურები, ალბათ, უკმაყოფილებას გამოთქვამდა. ამიტომაც `სალახანა~ უწოდეს და მოსართავე-ბი მაგრად ამოუჭირეს. ლაფშა გაიბერა, მაგრამ პირში თითი შეუჩარეს და მუცელში წიხლი უთავაზეს, ისე რომ ცხენი დაიჩუტა.

მაგრამ, როცა კბილით თასმას ჭიმავ-დნენ, ისევ დაცქვიტა ყურები და უკანაც მოიხედა. თუმცა იცოდა, არაფერი უშველი-და, მაინც საჭიროდ ჩათვალა გამოეთქვა, ეს არ მსიამოვნებს და ყოველთვის ასე მო-ვიქცევიო. როცა შეკაზმეს, გააბაჯაჯგინა გაფიჟვინებული მარჯვენა ფეხი და ლა-გამს დაუწყო ღრღნა რაღაცნაირი განსაკუთრებული მოსაზრებით, თუმცა უნდა სცოდნოდა, ლაგამს არავითარი გემო რომ არ გააჩნია.

ნესტორი დამოკლებული უზანგით აბობღდა ლაფშაზე, დააგრძელა მათრახი, გაის-წორა მუხლქვეშ შეკეცილი კაზაკურას კალთები, უნაგირზე განსაკუთრებული, მონა-დირული, მეჯოგისებური, მეეტლისებური იერით აღიმართა და აღვირი მოზიდა. ლაფშამ თავი ასწია, მზად იყო წასასვლელად, საითაც კი უბრძანებდნენ, მაგრამ ად-გილიდან არ დაიძრა. იცოდა, მხედარი კიდევ ბევრს იჭაჭყანებდა წასვლამდე, რაიმეს უბრძანებდა მეჯოგე ვასკასა და ცხენებს. მართლაც, ნესტორმა ატეხა ყვირილი: `ვას-კა! ჰეი, ვასკა! ფაშატი ცხენები არ გამოგიშვია? სად დაიკარგე, შე ოჩოპინტრე! აჩუ-უ! ისევ გძინავს? გააღე ჭიშკარი! წინ ფაშატები უნდა გავიდნენ~, და ა. შ.

ჭიშკარი აჭრიალდა. გულმოსული და ნამძინარევი ვასკა იდგა ბოძთან, აღვირით ეჭი-რა ცხენი და ერეკებოდა ცხენებს. დაწალიკებული ცხენები ფრთხილად ადგამდნენ ფეხს ჩალაზე, ყნოსავდნენ მას და გადიოდნენ ჭიშკარში: ახალგაზრდა ფაშატებს, ერთწლიან კვიცებს, ძუძუმწოვრებსა და ზანტ-ზანტ ფაშატ ცხენებს სიფრთხილით და სათითაოდ გაჰქონდათ ჭიშკარში ზორბა გულბოყვი. ნორჩ-ნორჩი ფაშატები, ორ-ორი, ხანაც სამ-სამი, აწყდებოდნენ ერთმანეთს და ზურგზე ადებდნენ თავს, რის გა-მოც ყოველთვის ლანძღვა-გინებით უმასპინძლდებოდნენ მეჯოგეები. ძუძუმწოვრები ხანდახან ფეხებში ებლანდებოდნენ სხვა ფაშატებს, გამყინავი ხმით ჭიხვინებდნენ და ეხმაურებოდნენ დედათა ხამუშ-ხამუშ ხვიხვინს.

ერთმა ცელქმა, ნორჩმა ფაშატმა, ჭიშკარში გასვლისთანავე, თავი გვერდულად დაღუ-ნა, ტლინკები აყარა და დაიჭყვირა, მაგრამ მაინც ვერ გაბედა და წინ ვერ გადაუს-წრო წიწიბურაში ამოგანგლულ ბებერ ოტროველას, რომელიც ნელი და დინჯი ნა-ბიჯით, მდოვრედ მიაქანებდა მუცელს და, როგორც ყოველთვის, დარბაისლური რო-ნინით მიუძღვებოდა ცხენებს.

რამდენიმე წუთში ესოდენ მოჟრიამულე თავლა პირწმინდად დაცარიელდა. ნაღვლია-ნად გამოშვერილიყვნენ ბოძები ცარიელ ფარდულში და მოჩანდა მარტოოდენ ფეხ-ქვეშ გათელილი დაჩონჩორიკებული ნამჯა. თუმცა ამლაყი ლაფშა შეჩვეული იყო ამ-გვარ უკაცრიელობას, მაგრამ ამან მაინც დააღონა. თითქოს ვინმეს ესალმებაო, ნელ-ნელა ააკანტურა თავი, რამდენადაც ნებას აძლევდა შემოჭერილი მოსართავი, ამოიხ-ვნეშა, აითრია მრუდე, მოდუნებული ფეხები და ჩანჩალით გაჰყვა რემას, თანაც გაძ-ვალტყავებული ზურგით მიჰყავდა ნესტორი.

`კარგად ვიცი, როგორც კი გავალთ გზაზე, მაშინვე გამოკვესავს ცეცხლს და გაა-ბოლებს თავის სპილენძით მოჭედილ ძეწკვიან ხის ჩიბუხს, — ფიქრობდა ლაფშა. —მიხარია ეს, რადგან სისხამ დილის ნამთან ერთად სიამეს მგვრის ეგ სუნი და ბევრ სასიამოვნო ამბავსაც მაგონებს; მხოლოდ ის მაჯავრებს, პირში ჩიბუხგაჩრილი მო-ხუცი მუდამ რომ იბღინძება, გამედიდურდება და გვერდულად დაჯდება ხოლმე, აუ-ცილებლად გვერდულად, მე კი ეს კედარო მტკივა. თუმცა, მისი ნებაა, ჩემთვის ახა-ლი ამბავი როდია სხვების საამებლად ვიტანჯებოდე; რაღაც ცხენურ სიამოვნებასაც კი მგვრის ეს. რამდენიც სურდეს, იფაფხუროს საბრალომ. მხოლოდ მარტო როცაა,

მაშინ ფახიფუხობს ასე, ვიდრე არავინ ხედავს. მაშ იჯდეს ასე გვერდულად˜, — ბჭობდა ლაფშა თავისთვის, ფრთხილად ადგამდა დაბრეცილ ფეხებს და მიაბიჯებდა შუა გზაზე.

II

ნესტორმა მირეკა რემა მდინარესთან, — აქ უნდა ებალახათ ცხენებს, — ჩამოხტა და უნაგირი მოხადა ლაფშას. ამასობაში ჯოგი ნელ-ნელა გაიშალა ჯერ ისევ გაუ-თელავ, ცვრიან მინდორზე, სადაც ეფინა მდელოებსა და მის გარშემო შემორკალულ მდინარეზე თანაბრად ავარდნილი ოხშივარი.

ნესტორმა აღვირი წააძრო ამლაყ ლაფშას და კისერი მოფხანა. ლაფშამაც, მადლიე-რებისა და სიამოვნების ნიშნად, თვალები მილულა.

— სიამოვნებს ბებერ ქოფაკს! — ჩაილაპარაკა ნესტორმა. ლაფშას სულაც არ სია-მოვნებდა, რომ ფხანდნენ და მხოლოდ ხათრით იკატუნებდა თავს, მსიამოვნებსო; თანხმობის ნიშნად თავი დააქნია, მაგრამ ანაზდად, სავსებით მოულოდნელად და სულ უმიზეზოდ, ნესტორმა გაიფიქრა, მეტისმეტი ფამილარობა ამლაყ ლაფშას, ალ-ბათ, ყალბ აზრებს შთააგონებს, გააყოყოჩებსო, და გაუფრთხილებლად თავში ხელი ჩაარტყა, აღვირი მოუქნია და ძალიან მწვავედ შემოჰკრა ბალთა გაძვალტყავებულ ფეხზე. შემდეგ მდუმარედ გაემართა ბეგობისაკენ, კუნძთან, სადაც ჩვეულებრივ წა-მოსკუპდებოდა ხოლმე.

ასეთმა საქციელმა თუმც გული ატკინა ლაფშას, მაგრამ აინუნშიც არ ჩააგდო, გაქუ-ცული კუდის ნელი-ნელ ქნევით გულის გადასაყოლებლად ბალახის წიწკნას შეუდგა და მდინარისაკენ წალასლასდა. ყურადღებას არ აქცევდა, რასაც ჩადიოდნენ მის გარშემო სიხარულით აფოფინებული ჯეელი ფაშატები, ბაჩა-კვიცები და ძუძუმწოვ-რები. ლაფშამ იცოდა, უმჯობესი იყო, — განსაკუთრებით მის ასაკში, — ჯერ კარ-გად დაელია წყალი უზმოდ და შემდეგ მოეძოვა ბალახი. შეარჩია კიდეც, სადაც უფ-რო დამრეცი და გაშლილი იყო ნაპირი, ფლოქვები და ქაჩაჩები დაისველა, ქვიქვირი წყალში ჩაჰყო და დაფლეთილი ტუჩებით წყალს დაეწაფა. ამოვსებული ფერდები თრთოდა; სიამოვნებისაგან იქნევდა გაფხეკილ ჭრელ კუდის რიკსა და გახუზულ სა-ხიმარს.

ერთი ყაჩაღანა ქურანა კვიცი გამუდმებით აბრაზებდა და აწვალებდა მოხუცს; აქაც წყალდაწყალ მიეჭრა, თითქოს საჭიროების გამო, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ზედ ცხვირთან აემღვრია წყალი. ლაფშამ უკვე მოიკლა წყურვილი, თითქოს არც კი შეიმ-ჩნია ქურანას განზრახვა, წყნარად ამოიღო შლამში ჩაფლული ფეხები, აიქნია თავი, გაშორდა ახალგაზრდებს და შეუდგა ძოვას. სხვადასხვანაირად აბაჯაჯგინებდა ფე-ხებს, არ სთელავდა ზედმეტ ბალახს და თითქმის თავაუღებლად სძოვდა და სძოვდა სრულ სამ საათს. იმდენი მოძოვა, მუცელი ტომარასავით დაეკიდა გალეულ, გამო-ფერდილ ნეკნებზე. აღიმართა ყველა — ოთხსავე დაავადებულ ფეხზე, ისე რომ, რაც შეიძლება ნაკლებად ეგრძნო ტკივილი, განსაკუთრებით ყველაზე უფრო მოდუნებულ მარჯვენა ფეხში, და დაიძინა.

არის დიდებული სიბერე, არის საძაგელი, ბეჩავი სიბერე. არის საძაგელიც და დიდე-ბულიც — ორივე ერთად. სწორედ ასეთი იყო იმ ხატაველი ლაფშას სიბერეც.

ლაფშა კარგა ზორბა გახლდათ — სულ ცოტა ორი არშინი და სამი გოჯი მაინც იქნებოდა. ფერად შავრა-ამლაყი იყო. ასეთი ყოფილა, მაგრამ ახლა შავ-შავი ფორე-ჯები მოტალახო-წაბლისფერი გახდომოდა. მისი სიჭრელე წარმოექმნა სამ ფორეჯს: ერთი თავზე ჰქონდა, მრუდნაქუციანი, ცხვირთან ახლოს და შუა კისრამდე. ბირკაბა-ლახით სავსე გრძელი ფაფარი ალაგ თეთრი იყო, ალაგ მოწაბლისფრო. მეორე ფო-რეჯი დაუყვებოდა მარჯვენა ფერდის გასწვრივ და შუა მუცლამდე; მესამე ფორეჯი — გავაზე, კუდის ზედა ნაწილიდან შუა ბარძაყამდე. გახრეკილი კუდის რიკი აჭრე-ლებოდა. სიგამხდრისაგან გალეულ-გახევებულ კისერზე მძიმედ ეკიდა დიდი ბეხრეკი თავი. თვალებს ზემოთ ღრმად ამოღრუტნოდა ფოსოები და ოდესღაც დაგლეჯილ-დაფლეთილი შავი ფომფლე ქვიქვირის შიგნით მოჩანდა ნახევრად დაჩქლეთილი მო-შავო ენა და გამოხრულ ქვედა კბილთა ყვითელ-ყვითელი ნარჩენები. აქეთ-იქით დაბ-ლა ჩამოტეხოდა ყურები. ერთი შუაზეც კი იყო გაფხრეწილი. ხანდახან ზანტად თუ გააპარტყუნებდა — აბეზარი ბუზების მოსაგერიებლად. ჯიდაოსაგან შემორჩენილი ერთი ბღუჯა მოგრძო ნაკუწი ყურს უკან ჰქონდა ჩამოკონწიალებული; ფართო შუბ-ლი ჩაღრმავებოდა და აქერცლოდა; ქვედა განიერ ყბებზე ხალთასავით ეკიდა ტყავი. კისერსა და თავზე კვანძებივით გამონასკვოდა ძარღვები, ბუზის ყოველი მიკარებისას რომ თრთოდნენ და თახთახებდნენ. კუშტი, მომთმენი, დადინჯებული და ნატანჯი გამომეტყველება ჰქონდა. წინა ფეხები რკალივით მოხროდა მუხლებში, ორივე ფლოქვზე კორძები ამოსვლოდა, ერთზე კი, სადაც სიჭრელე შუა ფეხამდეღა აღწევ-და, ზედ მუხლთან აჯდა მუშტისოდენა კოპი. უკანა ფეხები უფრო საღი ჰქონდა, მაგ-რამ ბარძაყებთან გადაღლეტოდა, ალბათ, დიდი ხანია აღარ ამოდიოდა ბალანი ამ ადგილას. სიგამხდრისაგან ფეხები უზომოდ გრძელი ჩანდა, გაშიშვლებოდა და დას-ჭიმოდა დაღრეცილი ნეკნები, თითქოს ტყავი ზედ შეხმობოდათ მათ შორის დარჩე-ნილ არეებს. ქეჩო და ზურგი ზოლ-ზოლად აჭრელებოდა ცემა-ტყეპისაგან, უკანაც აჯდა ჯერ ისევ ახალი შეშუპებული და ჩირქოვანი იარა: კუდუსუნის შავი სახიმარი ზედ ამოჩრილი მალებით გრძლად გაფშეკოდა და გაქუცოდა. კუდთან, მრეშ გავაზე მოუჩანდა თეთრი ბალნით დაბურდული ხელისგულისოდენა ნაკბენივით ჭრილობა. წინა ბეჭზე აჩნდა მეორე ჭრილობა-ნაიარევი. უკანა მუხლები და კუდი კუჭის მუდმი-ვი აშლილობისაგან გათხვრილი ჰქონდა. მთელ ტანზე აჯაგროდა მოკლე ბალანი. მაგრამ, ამ ცხენის გულისამრევი სიბერის მიუხედავად, ყველა მისი მნახველი უნებ-ლიეთ ფიქრს მისცემდა თავს, ხოლო საქმის მცოდნე უმალვე იტყოდა, თავის დროზე შესანიშნავი და კარგი ცხენი იქნებოდაო.

საქმის მცოდნე იმასაც დაურთავდა, რუსეთში იყოო ცხენის ერთადერთი ჯიში, რო-მელსაც ჰქონდა ასეთი განიერი ძვლები, ასეთი ვეებერთელა ტაბუხის თავები, ასეთი ფლოქვები, ასეთი ნატიფძვლიანი ფეხები, ასეთი მოღერებული კისერი, რაც მთავა-რია, ასეთი თავის ძვალი, დიდრონი, შავი და შუქმფენი თვალები. თავსა და კისერ-თან მიჯრილი ძარღვები, ნაზი ტყავი და ხასხასა ბალანიო.

მართლაცდა, გახლდათ რაღაც დიდებული ამ ცხენის აღნაგობასა და მასთან უსაშვე-ლოდ შერწყმული, ბალნის სიჭრელით გამძაფრებული მიხრწნილების საზიზღარ ნი-შან-თვისებებში,

სილამაზითა და ძალ-ღონით შეგნებული თვითდაჯერებისა და სიმ-შვიდის ფანდებსა და გამოვლენაში.

ცოცხალი ნანგრევივით აღმართულიყო იგი მარტოდმარტო ცვრიან მინდორში, შო-რიახლოს კი ისმოდა მიმოფანტული ჯოგის თქარუნი, ფრუტუნი, ახალგაზრდული ჭიხვინი და შეჭყვირება.

III

მზე უკვე შუბის ტარზე წამოიმართა, ასცილდა ტყეს და ახლა ელვარედ კაშკაშებდა ბალახებსა და მდინარის ხვეულებში. ნამი შრებოდა და გროვდებოდა წვეთწვეთობით; ბოლივით იფანტებოდა დილის უკანასკნელი ოხშივარი. ცას მოსდებოდა ხუჭუჭა ღრუბლები, მაგრამ ქარი ჯერ არსად ჩანდა. წყალგაღმა ჯაგარივით აქოჩრილიყო მწვანედ აჯეჯილებული ჭვავი და ირგვლივ იდგა ნორჩი ბალახებისა და ყვავილთა სურნელი. ტყიდან ისმოდა გუგულის ხმაჩახლეჩილი ძახილი და პირაღმა გაშოტილი ნესტორი ითვლიდა, კიდევ რამდენი წლის სიცოცხლე დამრჩენიაო. ჭვავნარისა და სათიბის თავზე დანავარდობდნენ ტოროლები. ჯოგის შუა მოქცეული დაგვიანებული კურდღელი მკვირცხლად გამოხტა გაშლილ ველზე, ბუჩქთან ჩაცუცქდა და გაინაბა. ვასკამ თავი ბალახებში ჩარგო და ჩათვლიმა. ფაშატებმა გვერდი აუარეს მას და კი-დევ უფრო მიმოიფანტნენ დაბლობში. დროული ცხენები ფრუტუნ-ფრუტუნით ტოვებ-დნენ ელვარე კვალს ნამზე და სულ ისეთ ადგილს ირჩევდნენ, სადაც არავინ შეუშ-ლიდათ ხელს; მაგრამ კი აღარ სძოვდნენ, არამედ წიწკნიდნენ გემრიელ ბალახს. მთელი რემა შეუმჩნევლად მიიწევდა წინ, ერთი მიმართულებით. და კვლავ, ყველაზე წინ დინჯად მსვლელი ბებერი ოტროველა უჩვენებდა, საითკენ უნდა ევლოთ. ახალ-გაზრდა შავრა ყარაჩა, რომელსაც პირველად იმ წელს მოეგო კვიცი, წამდაუწუმ ხვიხვინებდა და, კუდაპრეხილი, ფრუტუნით მოუხმობდა თავის ტრედანა კვიცს; ხას-ხასა და კრიალაბეწვიანი ატლასურა თავს ისე ხრიდა, რომ შავი სალუქი ფოჩი შუბ-ლსა და თვალებს უფარავდა. გაეთამაშებოდა ბალახს, მოწიწკნიდა, მერე გასტყორ-ცნიდა და გასთელავდა ნამით გალუმპული, შებანჯგვლილი ქაჩაჩიანი ფეხით. ერთ მოზრდილ კვიცს ალბათ ეგონა, რაღაცას ვთამაშობო, ჯიღასავით აეწია მოკლე ხუ-ჭუჭა კუდი და უკვე ოცდამეექვსეჯერ უვლიდა გარს დედამისს, რომელიც დინჯად წიწკნიდა ბალახს. ის უკვე შეჩვეოდა შვილის ხასიათს, მხოლოდ ხანდახან უბღვერ-და დიდრონი შავი თვალებით.

ერთ ყველაზე პაწაწკინტელა თავკომბალა შავ კვიცს, რომელსაც გასაოცად ამოჩრო-და ფოჩი ყურებშუა და კუდიც ჯერ ისევ იმ მხარეს მოეხარა, საითკენაც დედის მუ-ცელში ჰქონდა შეკეცილი, დაეყვლიპა უაზრო თვალები და ერთ ადგილზე გაშეშებუ-ლი, ჩაციებით უმზერდა მეორე კვიცს, ჭენებით უკან-უკან რომ იხევდა, და ვინ იცის, შურდა მისი თუ კიცხავდა, ასე რად იქცევაო. ზოგი დრუნჩით ელამუნებოდა და წოვ-და ძუძუს; ზოგი, ვინ იცის, რატომ, აინუნშიაც არ აგდებდა დედების ძახილს, მოკ-რძალებული ჩორთით მიჰქროდა პირდაპირ მეორე მხარეს, თითქოს რაღაცას დაეძებ-და და შემდეგ, კვლავ, ვინ იცის, რატომ, შეჩერდებოდა და ჭიხვინებდა სმენისწამღე-ბი განწირული ხმით; სხვები ერთად ეყარნენ ჭერეხივით; ზოგი სწავლობდა ბალა-ხის ძოვას; ზოგიც უკანა ფეხით ყურის ძირს იფხანდა; ორი მაკე ცხენი განცალკე-ვებით დინჯად მიაბიჯებდა და განაგრძობდა ძოვას. ეტყობოდა, მათ მდგომარეობას პატივს სცემდნენ სხვები, ახალგაზრდებიდან ვერავინ ბედავდა მათთან მიახლოებასა და ხელის შეშლას. თუ რომელიმე

გიჟმაჟი და მოუსვენარი მოიწადინებდა მიახლოე-ბას, მაშინ ყურისა და კუდის ოდნავი შერხევაც კი საკმაო იყო, ჩაფიქრებოდნენ თა-ვიანთი საქციელის უხამსობას.

ერთწლიანი ფაშატი კვიცები თავს იკატუნებენ, ვითომდა დიდები და დარბაისლები ვართო, ზოგჯერ შეკუნტრუშდებიან და მხიარულ თავყრილობას ადგენენ. ისინი დინ-ჯად წიწკნიან ბალახს, მოუზნექიათ გედისებური, შეკრეჭილი კისერი, და თითქოს ჩვენც კუდები გვაქვსო, აქიცინებენ თავიანთ საგველებს. ზოგიერთები დიდებივით წვებიან და წამოგორდებიან მიწაზე ანდა ფხანენ ერთმანეთს. ყველაზე მხიარული კომპანია ორწლიანი, სამწლიანი და მარტოხელა ფაშატებისაა. ისინი თითქმის ყვე-ლანი ერთად და განცალკევებით, გროვა-გროვად რონინებენ მხიარულ გუნებაზე მყოფი გოგონებივით. გაისმის თქარათქური, ხვივილი, ჭიხვინი, ფრუტუნი, ისინი იკ-რიბებიან. ერთმანეთს მხარზე ადებენ თავს, დაყნოსავენ, აცმუკდებიან და ზოგჯე კუ-დაპრეხილნი ნახევრად თოხარიკით, ნახევრად ჩორთით ამაყად და კეკლუცად დანა-ვარდობენ ამხანაგებში. ამ ახალგაზრდობის პირველი თვალსაჩინო და შემაქცევარი იყო ერთი ცელქი ქურანა ფაშატი. მის ოინებს სხვებიც ბაძავდნენ. საითკენაც წავი-დოდა, იქითკენ გაემართებოდნენ ჯგროდ ლამაზმანები. ეს ფაშატი განსაკუთრებულ ხალისიან გუნებაზე იყო იმ დილით. რაღაც სასიამო ხუშტურმა მოუარა, ადამიანებ-საც რომ მოუვლის ხოლმე. ჯერ ისევ სარწყულებელთან ყოფნისას, გაამასხარავა ბე-ბერი ლაფშა, გაინავარდა მდინარის გასწვრივ, მოიგონა, თითქოს რაღაცის შემეშინ-დაო, დაიჭიხვინა და გაქანდა მინდორში, ისე რომ ვასკა ჭენებითვე უნდა გამოკიდე-ბოდა მას და მასთან ატორღიალებულ ცხენებს. შემდეგ, ცოტათი რომ წაიბალახა, ერთ ხანს წამოგორდა, მერე დედაბრებს წინ აეტუზა და აბრაზებდა მათ; შემდეგ დე-დას ერთი ძუძუმწოვარა კვიცი ჩამოარჩინა და გარშემო უვლიდა, თითქოს უნდა უკ-ბინოსო. დედა შეშინდა და თავი ანება ბალახის ძოვას. ძუძუმწოვარა კი საცოდავად ჭიხვინებდა, მაგრამ ცელქმა ფაშატმა სულაც არ ახლო ხელი, მხოლოდ ოდნავ და-აფრთხო იგი და კარგი სანახაობა განუმზადა ამხანაგებს, თანაგრძნობით რომ შეჰ-ყურებდნენ მის ოინებს. შემდეგ განიზრახა გაებრუებია პატარა ლურჯა ცხენი, რო-მელიც წყალგაღმა, ჭვავნარში, კავში შებმული ჩაატარა ერთმა გლეხკაცმა. ფაშატი ამაყად და ოდნავ გვერდულად შეჩერდა, თავი ასწია, შეიბერტყა და საამური, ნაზი და გაბმული ხმით დაიჭიხვინა. ამ ჭიხვინში გამოვლინდა სიცელქეც, გულისთქმაც და ოდნავი სევდაც. შიგ ჩაქსოვილი იყო ლტოლვაც, სიყვარულის საზეიმო აღთქმაც და მისგან გამოწვეული ურვა-ნაღველიც.

აი, ხშირ ლელიანში ერთი ადგილიდან მეორეზე გადარბის ღალღა და ვნებიანად ეხმიანება გულისტოლს. აი, გუგული და მწყერი ხოტბას ასხამენ სიყვარულს და ყვავილები ქარის დახმარებით უგზავნიან ერთმანეთს სურნელოვან მტვერს.

`ნორჩი ვარ, თანაც კარგი და ღონიერი, — ისმოდა გიჟმაჟი ფაშატის ჭიხვინში, — ოღონდ აქამდე არ განმიცდია ამ გრძნობის სიტკბო-სიამე, და არათუ განმიცდია, ჯერ არც ერთ მიჯნურს არ შევუმჩნევივარ~.

ამ საგულისხმიერო ჭიხვინმა ნაღვლიანად და ახალგაზრდულად გაიხმიანა ვაკე-მინ-დვებში და შორიდან შეესმა იმ ლურჯა ცხენს. მან ყურები ცქვიტა და შეჩერდა. გლეხმა ქალამანი ამოჭკრა, მაგრამ ლურჯა მოხიბლა ვერცხლივით წკრიალა შორე-ულმა ჭიხვინმა და იმანაც ჩაიხვიხვინა. გლეხი გაუჯავრდა, ჩაჭკრა აღვირი პირში და გამეტებით აძგერა ფაშვში ქალამნის ჭვინტი. ცხენმა

შეწყვიტა ჭიხვინი და გზა განაგრძო. მაგრამ ლურჯა ცხენმა სიამე იგრძნო და დანაღვლიანდა. შორეული ჭვავ-ნარებიდან ცხენთა რემამდე კვლავ დიდხანს აღწევდა ჟინმორეული ხვიხვინი და გაბ-რაზებული გლეხკაცის შეძახილები.

უკეთუ ამ ერთი ხმის გაგონებამ ისე გააგიჟა ლურჯა ცხენი, რომ ყველაფერი გადაა-ვიწყა, რაღა მოუვიდოდა, ის კეკლუცი და ანცი ფაშატი რომ დაენახა, როგორ უხ-მობდა ლურჯას ყურებდაცქვეტილი და ნესტოებდაბერილი, თან ფრთხვინავდა და ისე ისუნთქავდა ჰაერს, თანაც სადღაც მიისწრაფოდა აღტყინებული, სულ ერთიანად უთრთოდა და უცახცახებდა ნორჩი და ლამაზი სხეული.

მაგრამ ანცი ფაშატი დიდხანს როდი ჩაფიქრებია თავის შთაბეჭდილებებს. როდესაც ლურჯას ხმა მიწყდა, ერთი კიდევ ჩაიხვიხვინა გამქირდავად და, თავჩაღუნულმა, მი-წას დაუწყო ფხოჭნა. შემდეგ კი გაემართა ამლაყი ლაფშას გასაღვიძებლად და გა-საბრაზებლად. ეს ბედნიერი ახალგაზრდობა დღენიადაგ აწვალებდა და აპამპულებდა ამლაყ ლაფშას. ეს ახალგაზრდობა ადამიანებზე მეტად სტანჯავდა მას, თუმცა არც ერთი მათგანისათვის არაფერი დაშავებია. ადამიანებისათვის გამოსადეგი კი იყო. მაშ რად აწვალებდნენ ასე ჯეელი ცხენები?

IV

ის ბებერი იყო, ისინი — ახალგაზრდები; ის გამხდარი იყო, ისინი — მაძღარნი და ჩასუქებულნი; ის დაღვრემილი იყო, ისინი კი — მხიარულნი. მაშასადამე, ის იყო სავსებით უცხო, გარეშე, სულ სხვა არსება, და არ შეიძლებოდა მისი შებრალება. ცხენები იბრალებენ მარტოოდენ თავიანთ მსგავსთ, ზოგჯერ მხოლოდ მათ, რომელ-თა მსგავსად წარმოიდგენენ თავს. მაგრამ განა რა დააშავა ამლაყმა ლაფშამ იმით, რომ ის ბებერი, მჭლე და გონჯი იყო?..

თითქოს არაფერი; მაგრამ, ცხენების აზრით, იგი დამნაშავე იყო, და ყოველთვის მართალნი არიან მხოლოდ ძლიერნი, ახალგაზრდები და ბედნიერები, ისინი, ვისაც მომავალი უღიმის, ისინი, ვისაც უსარგებლო დაძაბულობისაგან უთრთის ყოველი კუნთი და კუდი პალოსავით აქვთ აბზეკილი. იქნებ თვით ამლაყ ლაფშასაც ესმოდა ეს და მყუდროებისა და სიმშვიდის ჟამს ეთანხმებოდა კიდეც, ამ ცხოვრების საზღვა-ურს ვიხდიო; მაგრამ მაინც ცხენი იყო და ხშირად არ შეეძლო თავის შეკავება შეუ-რაცხყოფის, მწუხარებისა და გულისწყრომის გრძნობათაგან — როცა შეჰყურებდა მთელ ამ ახალგაზრდობას — სწორედ იმის გამო, რომ სტანჯავდნენ იმას, რადაც ყველანი თვითონვე გახდებოდნენ სიცოცხლის ბოლოს. ცხენების შეუბრალებლობის მიზეზი იყო აგრეთვე არისტოკრატული გრძნობაც. თითოეულ მათგანს თავისი საგვა-რეულო ნუსხა დედის მხრით გამოჰყავდა სახელგანთქმული მერნიდან, ხოლო იმ ამ-ლაყის სადაურობა კაცმა არ იცოდა, ამლაყი გადამთიელი გახლდათ, — სამი წლის წინათ ოთხმოცი მანეთის ქაღალდის ფულად ბაზარში ნაყიდი.

ქურანა ფაშატი, ვითომც ვსეირნობო, ზედ ცხვირთან აეტუზა ამლაყ ლაფშას და მხარი გაჰკრა. ამლაყმა უკვე იცოდა, რასაც ნიშნავდა ეს, თვალგაუხელელად დაწკუ-რა ყურები და კბილები დაკრიჭა. ფაშატი შებრუნდა, გავა მიუშვირა და ისე დადგა, თითქოს წიხლი უნდა ეკრა. ლაფშამ

თვალი გაახილა და გაეცალა. ძილი გაუკრთა და ბალახის ძოვას შეუდგა. ამხანაგებით გარშემოხვეული ანცი ფაშატი კვლავ მიად-გა ლაფშას. ერთი ქაჩალი და ნამეტნავად ტუტრუცანა ორი წლის კვიცი, ყოველთვის ქურანას მიმბაძველი და ყველაფერში მისი მიმდევარი რომ იყო, მასთან ერთად მიე-ახლა ამლაყ ლაფშას და როგორც წამხედურებს სჩვევიათ, გადააჭარბა კიდეც ქურა-ნა კვიცს ანცობაში: ჩვეულებრივ მიუახლოვდებოდა ამლაყს, ვითომდა რაღაც საქმი-სათვის; ზედ ცხვირთან ჩაუვლიდა და არც კი შეხედავდა. ასე რომ, ამლაყმა არ იცოდა, გავუბრაზდე თუ არაო, და ეს მართლაც სასაცილო გამოდიოდა.

ქურანა ახლაც ასე მოიქცა. მაგრამ ქაჩალი, კვალდაკვალ რომ მიყვებოდა მას და განსაკუთრებით მხიარულ გუნებაზე იყო, უკვე მკერდით დაეტაკა ლაფშას. ლაფშამ კვლავ დაკრიჭა კბილები, დაიხვიხვინა, მისთვის მოულოდნელი სიმკვირცხლით გა-მოენთო ქაჩალ კვიცს და ბარკალზე უკბინა. ქაჩალმა ტყუპ-ტყუპი წიხლი მაგრად ჩა-აზილა მოხუცს გაძვალტყავებულ გვერდებში. მოხუცი ახროტინდა, უნდოდა კვლავ გამოსდგომოდა, მაგრამ გადაიფიქრა, მძიმედ ამოიხვნეშა და გაეცალა მათ. როგორც ჩანდა, ჯოგის ახალგაზრდობამ ითაკილა უტიფარი თავხედობა, ამლაყმა ლაფშამ რომ აკადრა ქაჩალ კვიცს. მთელი დანარჩენი დღე სულ არ მისცეს ჭამის საშუალება და ერთი წუთითაც არ მოასვენეს, ისე რომ მეჯოგემ ბევრჯერ დატუქსა ისინი და ვერც კი გაეგო, რა დაემართათო.

ლაფშა ისე იყო განაწყენებული, რომ თვითონ მივიდა ნესტორთან, როცა მოხუცმა ჯოგის უკან გამორეკვა დააპირა, და კიდევ უფრო ბედნიერად და დამშვიდებულად იგრძნო თავი, როცა შეკაზმეს და ზურგზე შეაჯდნენ.

ღმერთმა იცის, რას ფიქრობდა დროული ლაფშა, როცა მოხუც ნესტორს მიაჩაქჩა-ქებდა; დადარდიანებლი ფიქრობდა აბეზარ და გულქვა ახალგაზრდობაზე, მოხუც-თათვის ჩვეული აბუჩადამგდები და მდუმარე სიამაყით ყველაფერს უთმობდა შეურაც-ხმყოფელთ, შინ მისვლამდე არაფრით ამჟღავნებდა გულისთქმას.

იმ საღამოს ნესტორს ნათლიმამები ესტუმრნენ, და, როცა ცხენის ჯოგი ქოხებთან ჩაატარა, წინკართან მიბმული ცხენიანი ფორანი შენიშნა. რემა ეზოებში შერეკა. ძალზე ეჩქარებოდა, — ლაფშა უნაგირმოუხდელად შეუშვა ეზოში და ვასკას დაუძა-ხა, ამლაყს უნაგირი მოხადეო, ხოლო თვითონ ჭიშკარი დაკეტა და სტუმრებისაკენ გაემართა. რადგან ამ `ქეციანმა სალახანამ~, ბაზარში ნაყიდმა და უთვისტომომ, შეუ-რაცხყო მერნის ნაშიერი ქაჩალი კვიცი და ამით შებღალა მთელი მისი არისტოკრა-ტული გრძნობა, თანაც იმის გამო, რომ მაღალუნაგირიანი და უმხედრო ლაფშა ახი-რებულ-ფანტასტიკურ სანახაობას წარმოადგენდა ცხენებისათვის, იმ ღამით თავლაში რაღაც არაჩვეულებრივი ამბავი მოხდა. ახალგაზრდა და ბებერი ცხენები კბილებ-დაკრეჭილი დასდევნენ ამლაყ ლაფშას და დაატრიშინებდნენ მთელ ეზოში; ისმოდა წიხლების ხათქა-ხუთქი მოხუცის ჩაცვენილ ფერდებზე და მძიმე ხვნეშა. ლაფშამ ვე-ღარ შეძლო ამის ატანა და შუა ეზოში შეჩერდა; წამოეძალა ბეჩავი სიბერის საზარე-ლი და უმწეო გააფთრება და სასოწარკვეთილება; ყურები დაწკურა, და ანაზდად მოხდა ისეთი რაღაც, რამაც ყველანი ჩააჩუმა. ამლაყს მიუახლოვდა ერთი ბებერი ფაშატი — სახელად ალაწოდა. დაყნოსა ლაფშა და ამოიოხრა. ლაფშამაც ამოიხვნე-შა...

V

მთვარით განათებულ შუა ეზოში იდგა კოტეგაშვერილი მაღალი უნაგირით მოკაზმუ-ლი ჯაგლაგი ლაფშა. გარს შემორტყმოდნენ ცხენები, უძრავნი და ღრმა მდუმარება-ში ჩაძირულნი, თითქოს მისგან რაღაც ახალი და არაჩვეულებრივი ამბავი გაიგესო. და მართლაც, გაიგეს ახალი და არაჩვეულებრივი ამბავი.

აი, რა შეიტყვეს მისგან...

პირველი ღამე

დიახ, მე ვარ ბედაურ პირველისა და ბანოვანის შვილი. საგვარეულო ნუსხით გლეხ პირველს მიწოდებენ. მე ვარ გლეხი პირველი გვარტომობის მიხედვით, მდაბიურად კი ფეხმარდი. ასე შემარქვა ხალხმა სწრაფი და მკვირცხლი სიარულის გამო, რომ-ლის ბადალი რუსეთში არ მოიძევებოდა. მთელ დუნიაზე არ მოიპოვებოდა ჩემზე უფ-რო ჯიშიანი ცხენი. არასოდეს გაგიმხელდით ამას. აბა რა საჭიროა? ვერასოდეს მიცნობდით მე, ისე როგორც ვეღარ მიცნო ხრენოვოში ჩემთან ერთად ნამყოფმა ალაწოდამ, მხოლოდ ახლა რომ გამომეცნაურა. ახლაც არ დამიჯერებდით, ეს ალა-წოდა რომ არ მიდასტურებდეს. არასოდეს გაგიმხელდით ამას. არაფრად მეპიტნავება ცხენების სიბრალული. მაგრამ თქვენ გნებავთ ეს. დიახ, მე ის ფეხმარდი ვარ, რო-მელსაც ასე დაეძებენ და ვერ პოულობენ ცხენთმოყვარულნი, ის ფეხმარდი ვარ, რო-მელსაც იცნობდა თვითონ გრაფი და მერე ცხენთსაშენიდან გამაძევა, რადგან მის საყვარელ გედს გავუსწარი მარულაში...

როცა დავიბადე, არ ვიცოდი, რას ნიშნავდა ამლაყი, ვფიქრობდი, ცხენი ვარ-მეთქი. მახსოვს, ჩემი ბალნის გამო პირველმავე შენიშვნამ ძალზე გაგვაოცა მეც და დედაჩე-მიც. დავიბადე ალბათ ღამით; დილით, უკვე დედის გალოკილი, ფეხზე ვიდექი. მახ-სოვს, სულ რაღაც მინდოდა, და სულ ყველაფერი ძალზე გასაოცარი და ნამეტნავად უბრალო მეჩვენებოდა. ჩვენი თავლა მოთავსებული იყო გრძელ დათბუნებულ დერე-ფანში. მისი გისოსიანი კარიდან ყველაფერი ჩანდა.

დედაჩემი მომიშვერდა ჯიქანს. ჯერ კიდევ ისე მიამიტი ვიყავი, ცხვირს ხან მის წინ ფეხებში ჩავჩრიდი, ხან გეჯაში. უცბად დედაჩემმა გისოსიანი კარისაკენ მიხედა, გადმომალაჯა და გამეცალა. თავლაში იჭვრიტებოდა მორიგე მეჯოგე.

— დახე ამას, ბანოვანს კვიცი არ მოუგია? — თქვა მან და ურდული გადასწია. მერე ახლად დაფენილ ჩალაზე ფეხი შემოდგა და ხელები მომხვია. — ერთი შეხედე, ტა-რას, — წამოიძახა მან, — რა ჭრელია, მთლად კაჭკაჭივით არაა?

ხელიდან გავუსხლტი და წავიბორძიკე.

— ხედავ ამ ეშმაკის ფეხს! — წარმოთქვა მან.

დედაჩემი აწრიალდა, მაგრამ აღარ მომეშველა, მხოლოდ მძიმედ ამოიოხრა და ოდ-ნავ განზე გადგა. მოვიდნენ სხვა მეჯინიბეები და ცქერა დამიწყეს. ერთ-ერთი მათგა-ნი უფროს მეჯინიბესთან გაექანა სამახარობლოდ.

ყველანი იცინოდნენ. მიმზერდნენ ხატაველ ტანზე და სხვადასხვანაირ უცნაურ სა-ხელს მარქმევდნენ. მე კი არა, დედაჩემსაც არ ესმოდა ამ სიტყვების მნიშვნელობა. აქამდე ჩვენს ნათესაობაში არ გამორევია არც ერთი ამლაყი. არ გვიფიქრია, ეს სააუ-გო რაიმე თუ იყო. ხოლო მაშინ ყველა აქებდა ჩემს აგებულებასა და ძალ-ღონეს.

— დახე, რა ცქვიტია, — ამბობა მეჯინიბე, — ვერაფრით დააოკებ.

ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა უფროსი მეჯინიბე და გააოცა ჩემმა ფერმა; ის კი არა, ნაწყენიც ჩანდა.

— ვის გამოემსგავსა ასეთი გონჯი? — წარმოთქვა მან. — ახლა მაგას გენერალი ცხენთსაშენში აღარ დატოვებს. ეჰ, ბანოვანო, ეს რა მიყავი, რად მაზარალე? — მი-მართა დედაჩემს. — ქაჩალი მაინც შეგძენოდა, ვითომ ეს ამლაყი რაღა იყო!

დედაჩემმა არაფერი უპასუხა და, როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევაში, კვლავ ამოიხვნეშა.

— რომელ ეშმაკს გამოემსგავსა ასეთი გლეხუჭა, — განაგრძობდა უფროსი მეჯინი-ბე, — ცხენთსაშენში მისი დატოვება არ იქნება, სირცხვილია! ისე კი კარგი ხვი-თოა, კარგი მოუვა მაგის თავსა და ტანსა! — ამბობდა ის, და ყველა ჩემი მნახველი ეთანხმებოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ თვითონ გენერალი მოვიდა ჩემს სანახავად, და ყველანი კვლავ რაღაცით იყვნენ შეშფოთებულნი, გვაგინებდნენ მეც და დედაჩემსაც ჩემი ბალნის ფერისათვის. `მაგას რა ვუთხრა, კარგი ეგ იყოს~, — გაიძახოდნენ ჩემს და-ნახვაზე.

გაზაფხულამდე ჩვენ-ჩვენ დედებთან ერთად ცალ-ცალკე ვცხოვრობდით. ხოლო ხან-დახან, როცა მზე უკვე ალღობდა თოვლს თავლათა სახურავებზე, დედებიანად გვიშ-ვებდნენ ახალი ჩალით დაფენილ ხალვათ ეზოში. იქ პირველად გავიცანი ყველა ახ-ლობელი და შორეული ნათესავი. იქ ვნახე, როგორ გამოდიოდა სხვადასხვა კარიდან იმ დროის ყველა სახელგანთქმული ფაშატი თავის კვიციანად. იქ იყვნენ ბებერი ჰო-ლანდიელი, მერნის ასული — ყარაჩა, ქურანა, საფერხე ტრედანა — ყველა მაშინდე-ლი სახელმოხვეჭილი ცხენი იკრიბებოდა იქ კვიციანად, დასეირნობდნენ მზიგულზე, კოტრიალობდნენ ალერდზე და უბრალო ცხენებივით ყნოსავდნენ ერთიმეორეს. დღემდე არ ძალმიძს დავივიწყო იმ დროის ლამაზმანებით სავსე თავლა. ვერ დაიჯე-რებთ და ფიქრადაც არ მოგივათ, ახალგაზრდა და მარდი რომ ვიყავი, მაგრამ ეს ასე იყო. სწორედ ეს ალაწოდა იქ გახლდათ, მაშინ ჯერ კიდევ ერთი წლის კვიცი, საყვა-რელი, მხიარული და ცქრიალა; მაგრამ საწყენად ნუ დაურჩება და, თუმცა ახლა ჩვენს შორის იშვიათი ჯიშის ცხენად ითვლება, მაშინ ყველაზე ცუდი კვიცი იყო. ამას თვითონვე დაგიდასტურებთ.

ადამიანებისაგან ათვალწუნებული ჩემი სიჭრელე მეტისმეტად მოეწონათ ცხენებს; ყველანი გარს შემომეხვივნენ, ჩემი მზერით ტკბებოდნენ და მელოლიავებოდნენ. უკვე მავიწყდებოდა ადამიანთა სიტყვები ჩემ სიჭრელეზე და არხეინად ვიყავი. მაგრამ მა-ლე მეწვია პირველი დარდი ჩემს სიცოცხლეში და ამის მიზეზი დედაჩემი იყო. რო-ცა უკვე თოვლმა დნობა დაიწყო, ლაფაროში ბეღურები აჟივჟივდნენ და ჰაერში უფ-რო ძალუმად დატრიალდა გაზაფხულის სურნელი, დედაჩემმა გული აიყარა ჩემზე. მთლად შეეცვალა ზნე და ხასიათი, ხანდახან უეცად, ყოვლად უმიზეზოდ დაიწყებდა თამაშსა და ეზოში კუნტრუშს, რაც სულ არ შეჰფეროდა მის ასაკს, ხან ჩაფიქრდე-ბოდა და აჭიხვინდებოდა, ზოგჯერ კბენდა და წიხლსა სცემდა დობილ-ფაშატებს, ხანდახან დამყნოსავდა და უკმაყოფილოდ ფრუტუნებდა, ხან გავიდოდა მზიგულზე, თავს მხარზე დაადებდა თავის ბიძაშვილ ზერდაგს — დიდხანს ჩაფიქრებული ფხან-და ზურგს და აღარ მაძლევდა ძუძუს. ერთხელ მოვიდა უფროსი მეჯინიბე, ბრძანა ამოედვათ მისთვის ავშარა, და დედაჩემი თავლიდან გაიყვანეს. დაიჭიხვინა, მეც გა-ვეხმაურე და გავედევნე, მაგრამ არც კი მომიხედა. ტარასი მეჯინიბემ ორივე ხელი დამავლო იმ დროს, როცა დედაჩემის უკან კარს ხურავდნენ.

მე გავიწიე. მეჯინიბე თივაზე დავანარცხე, მაგრამ კარი ჩაეკეტათ. მესმოდა მარტოო-დენ დედაჩემის თანდათან მინელებული ჭიხვინი და იმ ჭიხვინში სულ სხვაგვარი ძა-ხილი, რასაც შორიდან ძალუმად გაეხმიანა, როგორც მერე გავიგე, აჯილღა პირვე-ლი. იგი დედაჩემთან პაემანზე მიჰყავდა მეორე მეჯინიბეს.

აღარ მახსოვს, როგორ გავიდა ტარასი ჩემი თავლიდან. ძალზე გულჩათუთქული ვი-ყავი. ვგრძნობდი, სამუდამოდ დავკარგე დედაჩემის სიყვარული. ყველაფერიც იმი-ტომ მოხდა, ამლაყი რომ ვარ-მეთქი, ვფიქრობდი. მომაგონდა, რასაც ადამიანები ამ-ბობდნენ ჩემი ბალნის დანახვაზე და ბრაზისაგან თავი და მუხლები მანამ ვუხათქუ-ნე კედლებს, ვიდრე მთლად ოფლად არ გავიწურე, და ღონემიხდილი არ ჩავიკეცე.

რამდენიმე ხნის შემდეგ დამიბრუნდა დედაჩემი. მესმოდა, ჩორთითა და უჩვეულო ქევ-ქევით როგორ მოგოგმანობდა დერეფანში. ჩვენს თავლასთან მოირბინა. კარი გაუღეს. ვეღარ ვიცანი, — ისე გაჯეელებული და გამშვენიერებული მეჩვენა. დამყნოსა, დაიფ-რთხვინა და ახვიხვინდა. მთელი თავისი ქცევით დამარწმუნა, აღარ მიყვარხარო.

მიამბობდა აჯილღას სილამაზესა და სიყვარულზე. ისინი კვლავ ხვდებოდნენ ერთმა-ნეთს, ხოლო ჩემი და დედის ურთიერთობა თანდათან უსულგულო ხდებოდა.

მალე საბალახოდ გაგვრეკეს. ამ დღიდან განვიცადე ახალი სიხარული, რამაც დედა-ჩემის სიყვარულის მაგივრობა გამიწია. უკვე გამიჩნდნენ მეგობრები და ამხანაგები. ერთად ვსწავლობდით ბალახის ძოვას, დიდებივით ჭიხვინს და კუდაპრეხილნი წრე-წრე დავნავარდობდით ჩვენ-ჩვენი დედების გარშემო. ეს იყო ბედნიერი დრო. ყველა-ფერს მითმობდნენ, ყველას ვუყვარდი, მესიყვარულებოდნენ და ლმობიერებით უმზერ-დნენ ყველაფერს, რაც უნდა ჩამედინა. მაგრამ ამანაც დიდხანს როდი გასტანა. მალე საშინელი ამბავი დამატყდა თავს. — ლაფშამ მძიმე-მძიმედ ამოიოხრა და გაეცალა ცხენებს.

დიდი ხანია ირიჟრაჟა. აჭრიალდა ჭიშკარი, ნესტორი გარეთ გამოვიდა. ცხენები დაი-შალნენ. მერემემ ლაფშას უნაგირი შეუსწორა და რემა გამორეკა.

VI

მეორე ღამე

როგორც კი შერეკეს ცხენები თავლაში, ისინი კვლავ გარს შემოერტყნენ ამლაყს.

— აგვისტოში დამაშორეს დედას, — განაგრძობდა ლაფშა, — არც მიგრძვნია გან-საკუთრებული წუხილი. ვხედავდი, დედაჩემი მაკედ იყო ჩემს უმცროს ძმაზე, სახელ-განთქმულ უსანზე, და უკვე აღარ ვგავდი წინანდელს. როდი ვეჭვიანობდი, მაგრამ ვგრძნობდი, გული ამიცრუვდა დედაჩემზე. გარდა ამისა, ვიცოდი, მოვხვდებოდი კვი-ცების საერთო განყოფილებაში, სადაც ორ-ორი და სამ-სამი ვცხოვრობდით ერთად და ყოველდღე ახალგაზრდები ჯგროდ გამოვეფინებოდით გარეთ. მე საყვარელასთან ერთად ვიდექი თავლაში. საყვარელა საფერხე ცხენი გახლდათ, მერე იმპერატორს დაატარებდა, თანაც მის სურათებს ხატავდნენ და აქანდაკებდნენ კიდეც. მაშინ ჯერ კიდევ უბრალო ძუძუმწოვარა იყო, ხასხასა და ნაზი ბალანი ჰქონდა, გედისებურად მოღაღვინებული კისერი, ლარივით სწორი და მოქნილი ფეხები. მუდამ მხიარული, გულკეთილი და თავაზიანი, ყოველთვის მზად იყო ეთამაშნა, ელოშნა და მასხარად აეგდო ცხენი თუ ადამიანი. რადგან ერთად ვცხოვრობდით, ჩვენდა უნებლიეთ დავმე-გობრდით და ეს მეგობრობა არ შეწყვეტილა მთელი ჩვენი ახალგაზრდობის მანძილ-ზე. იგი მხიარული და შეპრეტილი იყო. სწოედ მაშინ წამოიწყო მიჯნურობა, ეკურ-კურებოდა ნორჩ-ნორჩ ფაშატებს და დასცინოდა ჩემს უმანკოებას. ჩემდა საუბედუ-როდ, თავმოყვარეობით ატროკებულმა მივბაძე მას და ძალიან მალე მეც შემომეგზნო მიჯნურობის ალი. ეს ნაადრევი აცუნცრუკება გახდა ჩემი ცხოვრების უდიდესი ცვლილების მიზეზი. მოხდა ისე, რომ მე შევტოპე... ალაწოდა ერთი წლით იყო ჩემ-ზე უფროსი, განსაკუთრებით ველოლიავებოდით ერთმანეთს, შემოდგომის ბოლოს კი შევამჩნიე, თავს მარიდებდა და აღარ მეკარებოდა.

მაგრამ თავს აღარ შეგაწყენთ ჩემი პირველი სიყვარულის მთელი ამ ბედუკუღმართი ამბით, ალაწოდას კარგად ახსოვს ჩემი უგუნური გატაცება, რამაც ძირფესვიანად შეცვალა ჩემი ცხოვრება.

დაგვერივნენ მერემენი. ალაწოდა სადღაც გააგდეს, მე კი მაგრად მიმბეგვეს. საღამოს განსაკუთრებულ თავლაში შემაგდეს, მთელი ღამე ვჭიხვინებდი, თითქოს გული მიგ-რძნობდა ხვალინდელი დღის საშინელ ამბებს.

დილით ჩემი თავლის დერეფანში შემოვიდნენ გენერალი, უფროსი მეჯინიბე, მეჯინი-ბეები და მერემენი; ატყდა ერთი ალიაქოთი. გენერალი ტუქსავდა უფროს მეჯინიბეს, იგი თავს იმართლებდა, მე როდი ვისურვე მაგის მიშვება, მეჯინიბეებმა თვითნებუ-რად ჩაიდინესო. გენერალმა ბრძანა, ყველას გაგამათრახებთო, ხოლო ურა-კვიცები აქედან მოაშორეთო. უფროსი

მეჯინიბე დაჰპირდა, ყველაფერს შევასრულებთო. და-შოშმინდნენ და წავიდნენ. არაფერი მესმოდა, მაგრამ ვგრძნობდი, რაღაცას მიპირებ-დნენ...

მეორე დღიდან სამუდამოდ შევწყვიტე ჭიხვინი. ის გავხდი, რაც ახლა ვარ. მთელ სა-წუთროს ფერი ეცვალა ჩემს თვალში. აღარაფერი მახარებდა. ფიქრებში ჩაძირულს დანა პირს არ მიხსნიდა. პირველ ხანებში ყველაფერი შემძაგდა. აღარც ვსვამდი, აღარც ვჭამდი, სიარულიც შევწყვიტე, თამაშზე ხომ ფიქრიც არ ღირდა. ხანდახან მომენატრებოდა ტლინკების სროლა, გაჭენება, დაჭიხვინება. მაგრამ მაშინვე გამიელ-ვებდა საშინელი კითხვა: რისთვის? რატომ-მეთქი? და ქანცი მიწყდებოდა.

ერთ საღამოს მასეირნებდნენ; სწორედ იმ დროს, როცა მინდვრიდან რემა უკან უნდა მოერეკათ, ბუტბუტად გამდგარ მტვრის კორიანტელში შორიდანვე გავარჩიე ყველა ჩვენი ნაცნობი ცხენი. მომესმა მხიარული ხვიხვინი და თქარათქური. თუმცა კეფას მტკენდა ავშარის თოკი, მაგრამ მაინც შევჩერდი და ისე ვუმზერდი მოახლოებულ ჯოგს, როგორც სამარადჟამოდ დაკარგულ და დაუბრუნებელ ბედნიერებას უმზერენ. ისინი ახლოვდებოდნენ, სათითაოდ ვარჩევდი ყველა ჩემს ნაცნობს, ლამაზ, დიდე-ბულ, ზორბა და ჩათქვირებულ ფიგურას. ზოგიერთმა მათგანმა გამოიხედა ჩემკენ. მეჯინიბემ მოჰქაჩა ავშარა, მაგრამ ტკივილს აღარ ვგრძნობდი. ფიქრებმა წამიღო. მაგრამ ტკივილს აღარ ვგრძნობდი. ფიქრებმა წამიღო. ჩემდა უნებურად წინანდებუ-რად დავიჭიხვინე და ჩორთით წავგოგმანდი; მაგრამ ჩემი ჭიხვინი სევდიანად, სასა-ცილოდ და უცნაურად დაირხა. ჯოგში არავის გაუცინია, — მაგრამ შევნიშნე, ბევ-რმა მათგანმა თავაზიანობისათვის ზურგი მაქცია. მათთვის, ალბათ, მე ვიყავი საძაგე-ლი, საცოდავი, ბილწი, და რაც მთავარია, სასაცილო არსება. მათ სასაცილოდ მიაჩ-ნდათ ჩემი გაკნაჭული საჯაყი კისერი, ვეებერთელა თავი (ამ დროს გამხდარი ვიყა-ვი), ჩემი აწოწილი უშნო ფეხები და ის სულელური ჩორთით ქევქევი, ძველი ჩვეუ-ლებისამებრ მეჯინიბის გარშემო რომ ვუვლიდი. არავინ გამოხმაურებია ჩემს ჭიხ-ვინს. ყველამ პირი ამარიდა. ანაზდად ყველაფერს მივხვდი, მივხვდი, რაოდენ სამუ-დამოდ შორეული გავხდი თითოეული მათგანისათვის, აღარც კი მახსოვს, როგორ დავბრუნდი შინ მეჯინიბესთან ერთად.

წინათაც ვცდილობდი დარბაისლობა და სიდინჯე გამომეჩინა, ახლა კი სრულიად შევიცვალე. ჩემმა სიჭრელემ, რამაც ესოდენი უცნაური სიძულვილი აღუძრა ადამია-ნებს, საშინელმა მოულოდნელმა უბედურებამ და კიდევ ჩემმა რაღაც განსაკუთრე-ბულმა მდგომარეობამ ცხენთსაშენში, რასაც ვგრძნობდი, მაგრამ ვერკი ამეხსნა, მაი-ძულეს ჩავფიქრებოდი საკუთარ თავს. მაწუხებდა უსამართლობა ადამიანებისა, რომ-ლებიც მკიცხავდნენ, ამლაყი რომ ვიყავი; მადარდებდა დედაჩემისა და საერთოდ ქა-ლის სიყვარულის გაუტანლობა და მისი დამოკიდებულება ფიზიკურ პირობებთან, და, რაც მთავარია, ვუფიქრდებოდი იმ უცნაური ჯიშის ცხოველთა ნიშან-თვისებებს. რომლებთანაც ასე მჭიდროდ ვართ დაკავშირებულნი და ადამიანებს ვუწოდებთ, — ნიშან-თვისებებს, რომელთაგან გამომდინარეობდა ცხენთსაშენში ჩემი მდგომარეობის ის თავისებურება, რასაც ვგრძნობდი, მაგრამ გაგება კი არ შემეძლო. ადამიანთა ამ თავისებურებისა და ნიშან-თვისებათა მნიშვნელობა აშკარა შეიქნა ჩემთვის შემდეგი შემთხვევით.

ეს მოხდა ზამთარში, დღესასწაულების დროს. მთელი დღე არც მასვეს და არც მაჭა-მეს. როგორც მერე გავიგე, ჩვენი მეჯინიბე დამთვრალა. იმავე დღეს უფროსი მეჯი-ნიბე შემოვიდა ჩემთან. ნახა, საჭმელი არაფერი მქონდა, და უშვერი სიტყვებით ლან-ძღა მეჯინიბე, რომელიც ამ დროს იქ არ იყო, და მერე წავიდა. მეორე დღეს მეჯინი-ბე ამხანაგებიანად შემოვიდა თავლაში თივის დასაყრელად. მეტისმეტად გაფითრებუ-ლი და ნაღვლიანი ჩანდა, განსაკუთრებულ სიბრალულს იგრძნობდა კაცი მისი ჩაგ-რძელებული ზურგის დანახვაზე. მან გაჯავრებით გადმოყარა თივა ცხაურში. ის იყო გადავყავი თავი, რომ ისე მაგრად მთხლიშა მუშტი დრუნჩში, უკან მივაწყდი. შემდეგ კიდევ ჩამცხო ჩექმა მუცელში.

— ეს ქეციანი რომ არ ყოფილიყო, — წარმოთქვა მან, — არაფერიც არ მოხდებოდა.

— რაო, რა მოგივიდა? — შეეკითხა მეორე მეჯინიბე.

— ალბათ გრაფის ცხენები არც კი ახსოვს, თავისას კი დღეში ორჯერ მაინც დახე-დავს.

— როგორ, ეს ამლაყი ხომ არ აჩუქეს? — ჰკითხა მეორემ.

— ეშმაკმა უწყის, მიჰყიდეს თუ აჩუქეს, გრაფის ცხენებს თუნდ შიმშილით სული ამოხდეს, ფეხებზე ჰკიდია. აბა გაბედე და მის კვიცს ნურაფერს აჭმევ. დაწექიო, მით-ხრა, და ოთხში ამომიღო! ღმერთი აღარ არის! პირუტყვი უფრო ეცოდებათ, ვიდრე ადამიანი. მთლად ურჯულო ყოფილა, თვითონვე ითვლიდა ის ბარბაროსი! გენერალს ასე არასდროს უცხუნებია, ზურგი მთლად ამიჭრელა; ეტყობა, ქრისტიანის შვილი არ უნდა იყოს.

რაც ილაპარაკეს ცემასა და ქრისტიანობაზე, კარგად გავიგე, მაგრამ სავსებით გაუ-გებარი იყო ჩემთვის, რას ნიშნავდა სიტყვები: თავისი, მისი კვიცი, ვიგრძენი მხო-ლოდ, რომ ადამიანები ვარაუდობდნენ რაღაც კავშირს ჩემსა და უფროს მეჯინიბეს შორის. რას ნიშნავდა ეს კავშირი, არ მესმოდა. მხოლოდ, უკვე მოგვიანებით, როცა სხვა ცხენებს გამომთიშეს, ყველაფერი გავიგე. მაშინ კი ვერასგზით მივხვდი, რას ნიშნავდა, მე ადამიანის საკუთრებას რომ მიწოდებდნენ. `ჩემი ცხენი~ — ეს სიტყვე-ბი ისევე უცნაურად მიმაჩნდა, როგორც სიტყვები: `ჩემი მიწა~, `ჩემი ჰაერი~, `ჩემი წყალი~.

მაგრამ ამ სიტყვებს უდიდესი გავლენა ჰქონდათ ჩემზე. დღენიადაგ ვფიქრობდი ამაზე და, ბოლოს, მხოლოდ ადამიანებთან უაღრესად სხვადასხვანაირი ხანგრძლივი ურთი-ერთობის შემდეგ გავიგე მნიშვნელობა, რასაც გულისხმობდნენ ადამიანები ამ უცნა-ური სიტყვებით. მათი მნიშვნელობა კი ასეთია: ადამიანები საქმეებით როდი ხელ-მძღვანელობენ ცხოვრებაში, არამედ სიტყვებით. მათ მოსწონთ არა იმდენად შესაძ-ლებლობა — გააკეთონ თუ არ გააკეთონ რამე, რამდენადაც ცდილობენ ილაპარაკონ სხვადასხვა საგანზე ერთმანეთში დათქმული სიტყვებით. მათგან ძალზე მნიშვნელოვ-ნად მიჩნეულია ერთ-ერთი სიტყვა: ჩემი, რასაც წარმოთქვამენ სხვადასხვა ნივთის, არსებისა და საგნის, თვით დედამიწის, ადამიანებისა და ცხენების აღსანიშნავად. ერ-თსა და იმავე ნივთზე მათ დათქმული აქვთ, მარტოოდენ ერთმა თქვას: ჩემიაო. და ის, ვინც ერთმანეთშორის დათქმული თამაშის მიხედვით ყველაზე მეტი რაოდენობის ნივთზე იტყვის, ჩემიაო, უბედნიერესად ითვლება ადამიანებში. რატომაა ასე, არ ვი-ცი, მაგრამ

ასე კია და. წინათ დიდხანს ვწვალობდი ამეხსნა იგი რაიმე პირდაპირი სარგებლიანობით, მაგრამ ეს აზრი უმართებულო აღმოჩნდა.

მაგალითად, ბევრი ადამიანი, თავის ცხენს რომ მიწოდებდა, არც კი ყოფილა ჩემი მხედარი, ზურგზე სხვები მასხდებოდნენ, საჭმელ-სასმელს ისინი კი არა, სხვები მაძ-ლევდნენ. სიკეთეს მიწევდა კვლავ ის კი არა, ვინც თავის ცხენად მთვლიდა, არამედ მეეტლეები, ბეითლები, საერთოდ, გარეშე პირები. მერე, როცა გაიზარდა ჩემი დაკ-ვირვებების არე, დავრწმუნდი, რომ ჩემის ცნებას ცხენების მიმართ არავითარი სხვა საფუძველი არა აქვს, ადამიანების ბილწი და პირუტყვული ინსტინქტის გარდა, რა-საც ისინი საკუთრების გრძნობას ანდა უფლებას უწოდებენ. ადამიანი ამბობს: `ჩემი სახლი~, და არასოდეს ცხოვრობს შიგ, არამედ ზრუნავს სახლის აშენებისა და კე-თილმოწყობისათვის. მაგალითად, ვაჭარი ამბობს: `ჩემი დუქანი, ჩემი ფართლეულო-ბის დუქანი~, და თავისი დუქნის საუკეთესო ფართლეულის ტანისამოსი კი არ აცვია.

არიან ისეთი ადამიანები, მიწას თავისას რომ უწოდებენ, ხოლო არასოდეს უხილავთ ეს მიწა და ფეხიც არ დაუდგამთ ზედ. არიან ადამიანები, სხვა ადამიანები თავისად რომ მიაჩნიათ, ხოლო არასოდეს უნახავთ ეს ადამიანები, და ამ ადამიანებთან ურ-თიერთობა მხოლოდ ისაა, სიავე მიაყენონ მათ. არიან ადამიანები, რომლებიც ქა-ლებს თავიანთ ქალებად ანდა ცოლებად სთვლიან, ეს ქალები კი სხვა მამაკაცებთან ცხოვრობენ. და ადამიანები ცხოვრებაში ცდილობენ გააკეთონ ის კი არა, რაც საუ-კეთესოდ მიაჩნიათ, არამედ რაც შეიძლება უფრო მეტ ნივთს უწოდონ თავისი. ახლა დარწმუნებული ვარ, სწორედ ესაა ჩვენსა და ადამიანებს შორის არსებითი განსხვა-ვება. და ამიტომ, თუ არ აღვნიშნავთ ადამიანთა წინაშე სხვა ჩვენს უპირატესობას, უკვე — მარტოოდენ ამის გამო — თამამად შეგვიძლია ვთქვათ, ცოცხალ არსებათა კიბის საფეხურზე ჩვენ უფრო მაღლა ვდგავართ, ვიდრე ადამიანები: ადამიანთა მოქ-მედებას, ყოველ შემთხვევაში იმ ადამიანთა, რომლებთანაც მქონია ურთიერთობა, წარმართავს სიტყვები, ჩვენსას კი — საქმე.

და აი ეს უფლება — ეთქვა ჩემზე, ჩემი ცხენიო — მოიპოვა უფროსმა მეჯინიბემ და გაწკეპლა მეჯინიბე. მეტისმეტად გამაოცა ამ აღმოჩენამ და იმ აზრებისა და მითქმა-მოთქმის გამო. რასაც იწვევდა ადამიანთა შორის ჩემი ჭრელი ფერი, და დედაჩემის ღალატით აღძრულმა მჭმუნვარებამ გამხადეს ასეთი დარბაისელი და დადინჯებული ლაფშა ცხენი, როგორსაც ხედავთ.

სამგვარად გახლდით უბედური: ამლაყი ვიყავი, ლაფშა ვიყავი, და ადამიანებმა წარ-მოიდგინეს, ვითომც ღმერთს და ჩემს თავს კი არ ვეკუთვნოდი, როგორც ეს მოს-დგამს ყოველ ცოცხალ არსებას, არამედ — უფროს მეჯინიბეს.

მათ ასეთ წარმოდგენას ბევრი რამ მოჰყვა. პირველი მათგანია ის, რომ განცალკევე-ბით მომათავსეს. უკეთ მკვებავდნენ, ხშირ-ხშირად გავყავდი სარბიელზე და ძალიან ადრე შემაბეს ეტლში. სამი წლისა გახლდით, პირველად ეტლში რომ შემაბეს. მახ-სოვს, უფროსმა მეჯინიბემ, რომელსაც თავი მოჰქონდა, ეს ცხენი მე მეკუთვნისო, შეჰყარა მეჯინიბეები და შეუდგნენ ეტლში ჩემ შებმას, ეგონათ, გაშმაგდება ანდა წი-ნააღმდეგობას გაგვიწევსო. თოკით გამკოჭეს და ხელნებში შემაგდეს; ზურგზე ჯვა-რედინად გადმომაცვეს ფართო ღვედი და მიაკრეს ხელნებს,

წიხლის კვრა არ გაბე-დოსო. მე კი შემთხვევას ველოდი, გამომეჩინა შრომის სურვილი და სიყვარული.

გაუკვირდათ, გამოცდილი ცხენივით რომ გავიარე. უკვე მხედნიდნენ და ვიწყე ვარ-ჯიში ჩორთით სიარულში. დღითიდღე დიდ და დიდ წარმატებას ვაღწევდი, ისე რომ სამი თვის შემდეგ თვით გენერალი და სხვებიც აქებდნენ ჩემს ნავარდს, მაგრამ, უც-ნაური ამბავია: რადგან წარმოედგინათ, თავის თავს კი არ ეკუთვნის, არამედ უფროს მეჯინიბესო, სწორედ ამიტომ ჩემს სიარულს სულ სხვა მნიშვნელობა მიანიჭეს.

ჩემს ძმებს, ურა-კვიცებს, ხედნიდნენ რბენა-ჭენებით, ამოწმებდნენ მათ რონინს, ეს-წრებოდნენ მათ ვარჯიშს, დააქროლებდნენ მოოქრული ეტლებით, რთავდნენ ძვირფა-სი ასალებით. მე დავდიოდი უფროსი მეჯინიბის უბრალო ოთხთვალათი, მისი საქმე-ებისთვის ჩემენკასა და სხვა ხუტორებში. ყველაფერი ეს ხდებოდა იმისათვის, რომ ამლაყი ვიყავი, და რაც მთავარია, მათი აზრით, გრაფის კი არ ვიყავი, არამედ უფ-როსი მეჯინიბის საკუთრება.

ხვალ, თუ ცოცხალი დავრჩით, მოგითხრობთ, რა მნიშვნელოვანი შედეგი ჰქონდა ჩემთვის საკუთრების ამ უფლებას, უფროს მეჯინიბეს რომ წარმოედგინა.

ცხენები მოკრძალებით ეპყრობოდნენ ფეხმარდს, მხოლოდ ნესტორი წინანდებურად უხეშად ექცეოდა მას. გლეხის ლურჯა კვიცმა დაიჭიხვინა რემასთან მიახლოებისას, ქურანა ფაშატი ისევ კეკლუცობდა.

VII

მესამე ღამე

ამოვიდა ნამგალა მთვარე და შუქი მიაფრქვია შუაგულ ეზოში მდგარი ფეხმარდის ფიგურას; ცხენები შექუჩებულიყვნენ მის გარშემო.

— მთავარი გასაოცარი შედეგი იმისა, რომ მე გრაფისა, ან ღმერთისა კი არა, უფ-როსი მეჯინიბისა ვიყავი, — განაგრძობდა ამლაყი, — იყო ის, რაც ჩვენს მთავარ დამსახურებას შეადგენს: მარდი სრბოლა, რაიც ჩემი განდევნის მიზეზი გახდა. წრი-ულ სარბიელზე საჯირითოდ გამოიყვანეს გედი, ხოლო ჩესმენკელი მეჯინიბე მომი-ახლოვდა და დადგა წრესთან; გედმა ჩვენს ახლოს ჩაიქროლა. კარგად მინავარდობ-და, მაგრამ მაინც იპრანჭებოდა, არ გააჩნდა ის მარიფათი, რაც მე შევიძინე; უნარი, მიწაზე ერთი ფეხის შეხებისას წამსვე რომ დაძრავ მეორეს, უქმად არ დაკარგავ უმ-ცირეს საშუალებასაც კი და გამოიყენებ მას წინსრბოლისათვის. გედმა ჩაიქროლა ჩვენს ახლოს. გულმა ასპარეზობისაკენ გამიწია, მეჯინიბემ ხელი არ შემიშალა. `რა იქნება, ჩემი ამლაყი რომ გავაჯიბრო?~ — წამოიძახა მან, და როცა გედი მეორეჯერ გაგვისწორდა, მიმიშვა, გედი უკვე სწრაფად მიქროდა, ამიტომაც პირველ შემოვლაზე ჩამოვრჩი, მაგრამ მეორეზე წამოვეწიე, თანდათან მივწვდი ეტლს, გავუტოლდი და გავუსწარი. სინჯეს მეორეჯერაც — იგივე ამბავი მოხდა. მე უფრო მარდი აღმოვ-ჩნდი, ყველას თავზარი დაეცა. გენერალი მოითხოვდა,

სასწრაფოდ გაყიდეთ და სად-მე გადაკარგეთო, მაგის სახსენებელიც აღარ იყოს, `გრაფი გაიგებს, და დავიღუპები-თო~, ამბობდა იგი. კორენოელ ჩარჩს მიმყიდეს. მასთან დიდხანს არ დავრჩენილვარ. მერე მიყიდა ჯარისათვის ცხენების შესაძენად ჩამოსულმა ერთ-ერთმა ჰუსარმა. ყვე-ლაფერი ეს ისეთი უსამართლობა და საშინელება იყო, რომ მიხაროდა, როცა ხრე-ნოვოდან წამიყვანეს და სამუდამოდ დამაშორეს ყველა ნათესავსა და საყვარელ არსე-ბას. ძალზე მიმძიმდა მათთან ყოფნა. მათ მოელოდათ სიყვარული, პატივისცემა, თა-ვისუფლება, მე — შრომა, დამცირება, დამცირება და შრომა სულის ამოხდომამდე! მერე და რატომ? ამლაყი გახლდით და ამიტომ ვიღაცის ცხენი უნდა ვყოფილიყავი.

იმ საღამოს ფეხმარდმა მეტის თქმა ვეღარ მოასწრო. თავლაში მომხდარმა შემთხვე-ვამ ააფორიაქა ყველანი. ხანიერი მაკე ფაშატი — ზერდაგი, რომელიც ერთ ხანს ყურს უგდებდა ფეხმარდს, უცბად შებრუნდა და ზანტად გაემართა ფარდულისაკენ. იქ ისე ხმამაღლა აკრუსუნდა, ცხენებმა ყურადღება მიაქციეს; მერე დაწვა, კვლავ წა-მოდგა, ისევ დაწვა. ხანდაზმული ფაშატები მიხვდნენ, რაც სჭირდა, მაგრამ ახალ-გაზრდობა აწრიალდა, მიატოვა ლაფშა და გარს შემოერტყა ავადმყოფს. დილით თავლაში უკვე იყო ახლად მოგებული კვიცი. ძლივს რომ იდგა ფეხზე და ბარბაცებ-და. ნესტორმა უფროს მეჯინიბეს მოუხმო და ფაშატი კვიციანად ბაკში გადაიყვანეს, ცხენები უიმათოდ გარეკეს საბალახოდ.

VIII

საღამოს, როცა ჭიშკარი დახურეს და ყველაფერი მიყუჩდა, ამლაყმა განაგრძო:

— ხელიდან ხელში გადასვლისას ვუკვირდებოდი ადმიანებისა და ცხენების ცხოვ-რებას. ყველაზე დიდხანს დავყავი ორ პატრონთან: თავადთან, ჰუსართა ოფიცერთან და მერე ნიკოლოზ სასწაულთმოქმედის საყდართან მცხოვრებ დედაბერთან.

ჰუსართა ოფიცერთან გავატარე ჩემი სიცოცხლის საუკეთესო დღეები.

მაინცდამაინც ის იყო ჩემი დაღუპვის მიზეზი. თუმცა მას არასოდეს არავინ და არა-ფერი ყვარებია, სწორედ ამიტომ მიყვარს და მიყვარდა იგი.

სწორედ ის მომწონდა მისი, რომ ლამაზი, ბედნიერი და მდიდარი იყო, და ამიტომ არავინაც არ უყვარდა. თქვენთვის გასაგებია ეს ჩვენი მაღალი ცხენური გრძნობა! მისი გულცივობა, მისი სიმკაცრე, და ისიც, რომ მე დამოკიდებული ვიყავი მასზე, განსაკუთრებულ ძალას ანიჭებდნენ ჩემს სიყვარულს. `მომკალი, მომსპე, — ვფიქ-რობდი ხანდახან იმ საუკეთესო წლებში, — მით უფრო ბედნიერი ვიქნები-მეთქი~.

მან მიყიდა იმ ჩარჩისაგან, რვაას მანეთად რომ მიმყიდა მეჯინიბემ. შემისყიდა მხო-ლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ არავის ჰყავდა ამლაყი ცხენები. ეს იყო ჩემი საუკე-თესო დრო. მას ჰყავდა ხასა. ვიცოდი ეს ამბავი, რადგან ყოველდღე დამყავდა ქალ-თან და ხანდახან ორივესაც დავატარებდი. ხასა ლამაზი იყო, თვითონ ოფიცერიც ლამაზი გახლდათ და მეეტლეც ლამაზი ჰყავდა. სწორედ ამიტომ მიყვარდა ისინი. მეც კარგად ვგრძნობდი თავს. ჩემი ცხოვრება ასე

მიდიოდა: დილით გამოცხადდებო-და მეჯინიბე ჩემს დასაურვებლად, თვითონ მეეტლე კი არა, მეჯინიბე. მეჯინიბე ჯეე-ლი ბიჭი იყო — გლეხთაგანი. გააღებდა კარს, გაანიავებდა ცხენთა ანაორთქლს, გა-მოგვიდა ნეხვს, მოხდიდა ცხენს სამაგრავს, დამიტრიალებდა ჯაგრისს მთელ ტანზე და სამურველით ზოლ-ზოლად აფენდა მოთეთრო ბალანს ნალით დაკბილულ ზღავ-ზე. ხუმრობით კბილს გავკრავდი ხოლმე სახელოზე, მოვყვებოდი ფეხების ბაკუნს. შემდეგ რიგრიგობით მიგვაყენებდნენ ცივი წყლით სავსე როფთან და იმ ბიჭს ნეტა-რებას გვრიდა თავისი შრომის შედეგი: სალუქი ჭრელი კანი, ლარივით სწორი, ფარ-თოფლოქვებიანი ფეხები, გაკრიალებული გავა და ისეთი ზორბა ტანი, ნაბანი არ დაიქცეოდა. მაღალი ცხაურიდან თივას ჩამოყრიდნენ, მუხის ახურს შვრიით აავსებ-დნენ. შემდეგ მოვიდოდნენ თეოფანი და უფროსი მეეტლე.

ჩემი პატრონი და მეეტლე ერთმანეთსა ჰგავდნენ. არც ერთსა და არც მეორეს არაფ-რის ეშინოდათ და არც არავინ უყვარდათ საკუთარი თავის გარდა, — ამიტომაც ყვე-ლას უყვარდა ისინი. თეოფანს ეცვა წითელი ხალათი, პლისის შარვალი და ხიფთა-ნი. ძალიანი მიყვარდა, როცა ხანდახან, კვირა-უქმე დღეს, პომადაწასმული და ხიფ-თანში გამოპრანჭული საჯინიბოში შემოვიდოდა და შემომძახებდა:

— რას შვრები, ცხენუკა, ჩაგთვლიმა განა? — და ფიწლის ტარს წამკრავდა ბარ-კალზე, მაგრამ არასოდეს უტკენია, მხოლოდ გამეხუმრებოდა. მაშინვე ვხვდებოდი მის ხუმრობას, ყურებს დავლურსავდი და კბილებს ვაკაპუნებდი.

ჩვენთან იყო ერთი შავრა ულაყი, წყვილცხენა ეტლისათვის. ღამღამობით მასთან ერ-თად შემაბამდნენ ხოლმე. ამ აჯილღას ხუმრობისა არაფერი გაეგებოდა, ქაჯივით ავ-გული იყო. მის ახლო ვიდექი, ბაკის გადაღმა და, ხანდახან, სერიოზულად წავკინ-კლავდებოდით ხოლმე. თეოფანს როდი ეშინოდა მისი. ჯიქურ მოადგებოდა, ისეთს შეუძახებდა, თითქოს სული უნდა გააცხეებინოსო; მაგრამ დაშოშმინდებოდა, და თე-ოფანიც ავშარას გაუკეთებდა.

ერთხელ ორივემ მაგრად გავაქროლეთ ეტლი კუზნეცკზე. არც პატრონი და არც მე-ეტლე არ შეშინებულან. იცინოდნენ, უყვიროდნენ ხალხს, გვაოკებდნენ და აქეთ-იქით გვაბრუნებდნენ. არავინ გაგვიჭყლეტია.

მათ სამსახურს შევალიე მთელი ჩემი ღირსება და ნახევარი სიცოცხლე. იქ დამაგ-ლახაკეს და ფეხები დამიზიანეს.....ყოველივე ამის მიუხედავად, ეს იყო ჩემი ცხოვრე-ბის საუკეთესო ხანა! თორმეტ საათზე მოვიდოდნენ მარხილში შესაბმელად; ქაჩაჩებ-ზე წამალს წამისვამდნენ. ჯიდაოსა და ფაფარზე სველ საფენს დამადებდნენ და შე-მაბამდნენ ხელნებში.

მარხილი ხავერდით გაწყობილი მოწნული ლერწმისა იყო; მთელი აღკაზმულობა ვერცხლის პაწაწინა ბალთებისაგან შედგებოდა, სადავეები აბრეშუმისა, და ერთ დროს ნაქარგიც კი გახლდათ. როცა ყველა თასმასა და ღვედს მოარგებდნენ და გა-მონასკვავდნენ, ვერ გაარჩევდით, სად თავდებოდა აღკაზმულობა და სად იწყებოდა ცხენი. მარხილში შებმა ხდებოდა ფარდულში.

გამოდის თეოფანი. მას მხრებზე უფრო განიერი უკანალი აქვს. წითელი სარტყელი წელზე შემოუხვევია, აღკაზმულობას აათვალიერებს, წამოსკუპდება კოფოზე, შეისწო-რებს ხიფთანს,

უზანგში შეადგამს ფეხს, უეჭველად წაიხუმრებს რაღაცას, ჩამოიკი-დებს მათრახს, რითაც არასოდეს უცემია ჩემთვის, `აბაო~, შესძახებს და თამაშ-თამა-შით გავდივარ ჭიშკარში. ნარეცხის გადასაქცევად გამოსული მზარეული ქალი ჩერ-დება ზღურბლზე, თვალდაჭყეტილი მომჩერებია. გლეხი, ეზოში შეშა რომ შემოიტა-ნა, გამოდის, გაივლ-გამოივლის და ისიც ჩერდება. გამოდიან ფარეშები, მიახლოვდე-ბიან მეეტლეები. გააბამენ მუსაიფს. ყველანი ელოდებიან; ზოგჯერ სამ საათს ვდგა-ვართ შესასვლელთან, ხანდახან გავივლ-გამოვივლით, შემოვუხვევთ და კვლავ ვდგა-ვართ.

დაბოლოს, წინკარი ახმიანდება, გამობაჯბაჯდება ფრაკში გამოწყობილი ღიპიანი ჭა-ღარა ტიხონი და გვეტყვის: `აბა, მოართვით ბატონს ეტლი!~ მაშინ არ ხმარობდნენ ასეთ შტერულ გამოთქმას, როგორც ახლა იციან: `წინ წამოდითო~, თითქოს არ ვი-ცოდე, წინ რომ უნდა ვიარო და არა უკან; თეოფანი დაიწრუპუნებს, დაძრავს ეტლს, და თავადიც გამოიჭრება მკვირცხლად, დაუდევრად, თითქოს სულაც არ იყოს გასაო-ცარი ეს მარხილი, ეს ცხენი და თეოფანი, რომელიც ისე წახრის ბეჭებს და დაძაგ-რავს ხელებს, რომ წარმოუდგენელი გეჩვენებათ ასე დიდხანს გაჩერება. ჰოდა, გამო-იჭრება ბექთაროსანი თავადი, თახვის რუხსაყელოიანი შინელი წამოუსხამს; საყელო უფარავს შავთვალწარბა, ღაჟღაჟა ლამაზ სახეს, რომელიც არასდროს არ უნდა ჰქონ-დეს დაფარული. გამოდის ისე, რომ მის ხმალს, დეზებს და კალოშთა სპილენძის სა-ქუსრებს წკრიალი და რაჩხარუჩხი გაუდით, ხალიჩაზე ისე დგამს ფეხს, თითქოს ეჩ-ქარებაო. და ყურადღებას არ გვაქცევს მე და თეოფანს, არც იმას, თუ რას უცქერენ და რას ელაციცებიან ყველანი, მის გარდა. თეოფანი დაიწრუპუნებს, მე სადავეს ვქა-ჩავ, დარბაისლური ნაბიჯით გავაგრიალებ ეტლს და შევდგები. ალმაცერად გადავხე-დავ თავადს, ვაკანტურებ ჯიშიან თავსა და ფაფუკ ჯიდაოს. თავადი კარგ გუნებაზეა. ხამუშ-ხამუშ გაეხუმრება კიდეც თეოფანს. თეოფანი ლამაზი თავის ოდნავი მობრუნე-ბით უპასუხებს და ხელდაუშვებლად, მარტოოდენ ჩემს გასაგებად და ძლივს შესამ-ჩნევად გაარხევს სადავეს, და მაშინ გიყვარდეს — ერთი და ორი! — მივქრივარ სულ უფრო და უფრო განიერი ნაბიჯით. ყოველი კუნთი მითრთის და თავიდან ფე-ხამდე ჟრუანტელი მივლის, ატალახებული თოვლი ეყრება მარხილის თავკავს. მა-შინც არც ახლანდელი სულელური `ო~-ს შემახება იცოდნენ, თითქოს მეეტლეს რა-ღაც სტკივაო. `განი! ჩამოდექი~, დაიცაცხანებს თეოფანი ახლანდელ ჩვეულებისამებ გაუგებარ სიტყვებს და ხალხი გზას უტევს, კისერმოღრეცილი ჩერდება და გაჰყუ-რებს ლამაზ ლაფშას, ლამაზ მეეტლეს, ლამაზ ბატონს...

განსაკუთრებით მიყვარდა ერთი თოხარიკი ბედაურის გასწრება: მე და თეოფანი შო-რიდან დავინახავდით ჩვენს შესაფერის ცხენიან მარხილს, გრიგალივით გავიჭრებო-დით წინ და ნელ-ნელა წამოვეწეოდით. მარხილის ირგვლივ ტალახს დავაყენებდი, მგზავრს გავუსწორდებოდი და ფრუტუნ-ფრუტუნით თავზე დორბლებს გადავაფ-რქვევდი; გავუსწორდებოდი კეხს, რკალს, უკვე ვეღარ ვხედავდი მას და მარტოოდენ მესმოდა თანდათან მინელებული ხმა. ხოლო თავადი და თეოფანი, მასთან მეც — კრინტს არ ვძრავდით და ვიყავით გატრუნული, ვითომ ისე, ტყუილუბრალოდ, მივდი-ოდით ჩვენს საქმეზე, ვითომ ვერც კი ვამჩნევდით გზადაგზა შემხვედრ დინჯ-დინჯ ცხენებზე ამხედრებულთ. მიყვარდა გასწრება, მაგრამ მიყვარდა აგრეთვე კარგ თოხა-რიკ ბედაურთან შეხვედრაც. ერთი წამი, ერთი შეხედვა და ჩვენ დავშორდებოდით და კვლავ ცალკ-ცალკე მივქროდით, თითოეული თავთავის მხარეს...

აჭრიალდა ჭიშკარი, და გაისმა ნესტორისა და ვასკას შეძახილები.

მეხუთე ღამე

ამინდი იცვლებოდა. მოღრუბლული დღე იყო, დილიდანვე ერთი წვეთი ნამი არ ჩა-მოვარდნილა, მაგრამ თბილოდა და ირგვლივ კოღოები ფუთფუთებდნენ. როგორც კი რემა თავლაში შერეკეს, ცხენები ამლაყის გარშემო მოგროვდნენ და მანაც ასე დაამ-თავრა თავისი თავგადასავალი:

ჩემი ბედნიერი ცხოვრება მალე დამთავრდა. ასე მხოლოდ ორ წელიწადს გასტანა. მეორე ზამთრის ბოლოს მოხდა ჩემთვის ყველაზე სასიხარულო ამბავი. და ამას მოყ-ვა ჩემი ყველაზე დიდი უბედურებაც. ეს იყო ყველიერში. დოღზე წავიყვანე თავადი. დოღზე უნდა წასულიყვნენ ატლასურა და საღარი. არ ვიცი, რას აკეთებდნენ ისინი ფანჩატურში. მაგრამ ის კი ვიცი, რომ თავადი გამოვიდა და თეოფანს ასპარეზზე გასვლა უბრძანა. მახსოვს, გამიყვანეს სარბიელზე და დამაყენეს წრეში. ატლასურაც იქვე ჩააყენეს. ატლასურა გამოყავდა მესვეურს. მე კი, ისე — როგორც ვიყავი, ქალა-ქური მარხილით. მოსახვევში უკან მოვიტოვე იგი. სიცილ-ხარხარითა და აღტაცების ყიჟინით მომესალმა ყველა.

როცა მიმაცილებდნენ, ჯგროდ დამედო ხალხი. ხუთიოდე კაცმა ათასები შეაძლია თავადს. ის იცინოდა მხოლოდ კრიალა კბილებს აელვარებდა.

— არაო, — ამბობდა იგი, — ეს ცხენი კი არ არის, მეგობარია ჩემი; მაგის წონა ოქროც რომ მომცეთ, ვერ შეველევი. ნახვამდის, ბატონებო!

ფეხთსათბური გახსნა და მარხილში ჩაჯდა.

— აბა, ახლა ოსტოჟენსკისკენ!

ეს იყო მისი ხარჭა-ქალის ბინა და ჩვენც გავქუსლეთ...

ეს იყო ჩემი უკანასკნელი ბედნიერი დღე. მივედით ქალისას. თავადი ამ ქალზე ამ-ბობდა, ჩემიაო. ქალს კი სხვა შეყვარებოდა და გაჰკიდებოდა. ხუთი საათი იყო, თა-ვადმა აღარ გამომხსნა მარხილიდან, და იმ ქალს გამოენთო. რაც არასდროს მომ-ხდარა, მათრახი გადამიჭირეს და ჭენებ-ჭენებით მივქროდით. პირველად ჩემს სიცოც-ხლეში ავურ-დავურიე სვლა, შემრცხვა, მინდოდა კვლავ შემეწყო ფეხი, მაგრამ ანაზ-დად მომესმა თავადის გაშმაგებლი ყვირილი: `გაქუსლე!~ გაიშხუილა მათრახმა, მწვავედ გადამეწნა ზურგზე და მეც გავფრინდი, თან უკანა ფეხებს ვახლიდი მარხი-ლის რკინით შეჭედილ თავკავს. ქალს 25 ვერსის შემდეგ წამოვეწიეთ. მივიყვანე თა-ვადი, მაგრამ მთელი ღამე ვკანკალებდი და არაფრის ჭამა აღარ შემეძლო. დილით წყალი დამალევინეს. დავლიე და მერე აღარასოდეს ვყოფილვარ ისეთი ცხენი, მანამ-დე რომ ვიყავი. ავადვმყოფობდი, მტანჯავდნენ და მასახიჩრებდნენ — მკურნალობ-დნენ, როგორც ამას უწოდებენ ადამიანები. ქაჩაჩები გადამეყვლიფა, ფეხები გამიფიჟ-ვინდა და მუხლები მომეღრიცა,

გულბოყვი ჩამივარდა, სულ ერთიანად დავძაბუნდი და ილაჯი გამიწყდა. ჩარჩს მიმყიდეს. სტაფილოსა და კიდევ რაღაც ხაბა-ხუბას მაჭ-მევდა და ჩემგან ისეთი რაღაც შექმნა, რაც მე აღარ მგავდა. მაგრამ იმის მინაგვარი კი იყო, უმეცარი ადამიანი რომ შეეცდინა. ჯან-ღონემ მიმტყუნა და სიარულის თავი აღარ მქონდა.

გარდა ამისა, ჩარჩი ძალიან მტანჯავდა. როგორც კი ეწვეოდნენ მყიდველები, შემო-ვიდოდა თავლაში და ვეებერთელა მათრახით ისე ამაჭრელებდა და მაშინებდა, გაცო-ფებას აღარაფერი მაკლდა. შემდეგ მათრახის ნაკვალევს დაფარავდა და გარეთ გა-მიყვანდა.

იმ ჩარჩიდან დედაბერმა შემისყიდა. იგი სულ ნიკოლოზ სასწაულთმოქმედის საყდარ-ში დადიოდა და მეეტლეს ცემით ტყავს აძრობდა. მეეტლე ჩემს ბაგაში შემოვიდოდა და ტიროდა. მაშინ გავიგე, ცრემლს სასიამოვნო მლაშე გემო რომ ჰქონდა. შემდეგ დედაბერი მოკვდა. მისმა მოურავმა სოფელში წამიყვანა და მეწვრილმანეს მიმყიდა; მერე ხორბალს მივაძეხი, გავიბერე, უარესად გავხდი ავად. ერთ გლეხს მიმყიდეს. იქ მიწას ვხნავდი, თითქმის არაფერს ვჭამდი, ფეხიც სახნისით გადამისერეს. ისევ ავად გავხდი. ერთმა ბოშამ სხვა ცხენზე გადამცვალა. საშინლად მაწვალებდა, და ბოლოს, აქაურ მოურავს მიმყიდა. და აი აქა ვარ...

ყველანი დუმდნენ. წამოჟინჟღლა.

IX

მეორე საღამოს შინდაბრუნებულ რემას გზაზე პატრონი შემოეყარა. თან ერთი სტუ-მარიც ახლდა. სახლს მიახლოებულმა ოტროველამ ცერად შეათვალიერა ორი მამა-კაცი: ერთი მათგანი გახლდათ ჩალისქუდიანი ახალგაზრდა პატრონი, მეორე კი — მაღალი, სქელ-სქელი, გაფიჟვინებული სამხედრო პირი. დროულმა ცხენმა ალმაცე-რად გახედა ადამიანებს, ყურები დალურსა და გვერდით ჩაუარა პატრონს. დანარჩე-ნები — ახალგაზრდები — აფორიაქდნენ, თავგზა აებნათ, განსაკუთრებით, როცა პატრონი და სტუმარი განგებ შევიდნენ ცხენების შუაგულში, რაღაცას უჩვენებდნენ ერთმანეთს და მუსაიფობდნენ.

— აი, ეს ვოევიკოვისგან შევიძინე, ეს ხალებიანი სისვი ცხენი, — ამბობდა მასპინ-ძელი.

— ვისია ეს ახალგაზრდა შავრა ფეხკავშა ცხენი? სწორედ გვარიანი რამ არის, — ეუბნებოდა სტუმარი.

მათ ბევრი ცხენი გასინჯეს. ზოგი ნაჩქარევად, ზოგი კიდევ გულდინჯად. შეამჩნიეს ქურანა ფაშატიც.

— ეს კი ხრენოვების საფერხე ცხენებიდან შემომრჩა, კარგი ჯილაგისაა. — წარ-მოთქვა მასპინძელმა.

ვერ შეძლეს ყველა ცხენის დათვალიერება. პატრონმა მოხმო ნესტორს. მოხუცმა ფიცხლავ ქუსლი ჰკრა ამლაყ ლაფშას და გამოათოხარიკა. ცალფეხათრეული ლაფშა მოფეხუცობდა, მაგრამ მაინც ისე მოძუნძულებდა, ჩანდა, არასდიდებით არ აბუზღუნ-დებოდა, თუნდაც ებრძანებინათ,

რამდენიც შეიძლება, ირბინე ქვეყნის დასასრულამ-დეო. იმაზეც მზად იყო, ოთხამოღებით გაჭენებულიყო და ამ საქმის დაწყებას მარ-ჯვენა ფეხითაც კი აპირებდა.

— აი, თამამად შემიძლია მოგახსენოთ, ამ ფაშატზე უკეთესი მთელ რუსეთში არ მო-იპოვება, — უთხრა მასპინძელმა და დაანახვა ერთი ფაშატი.

სტუმარმა შეაქო ის ცხენი. აღგზნებულ-აღელვებული მასპინძელი დაცუხცუხებდა, უჩვენებდა, მოუთხრობდა და უხსნიდა სტუმარს თითოეული ცხენის ამბავს და ჩამო-მავლობას. სტუმარს, ეტყობოდა, მოსწყენოდა მასპინძლის ლაპარაკი და ცდილობდა ისეთი შეკითხვები მოეგონებინა, ვითომ მეც მაინტერესებს ეს ამბავიო.

— დიახ, დიახ, — შეცბუნებული ამბობდა იგი.

— აბა, ერთი დახედე, — პასუხის გაუცემლად ეუბნებოდა მასპინძელი, — ფეხებს დახედე... ძვირი კი დამიჯდა, მაგრამ სამი კვიცი შემძინა და მაინც დარბის.

— კარგად დარბის? — შეეკითხა სტუმარი.

ასე გადასინჯეს სათითაოდ თითქმის ყველა ცხენი და საჩვენებელი მეტი აღარაფერი დარჩა. მერე დადუმდნენ.

— აბა, ახლა წავიდეთ, ხომ?

— წავიდეთ.

ორივე ჭიშკრისაკენ გაემართა. სტუმარს უხაროდა, დათვალიერება დამთავრდაო. ახ-ლა კი წავიდოდა შინ, სადაც შეიძლებოდა ჭამა, სმა, თამბაქოს გაბოლება და, ეტყო-ბოდა, გამხიარულდა კიდეც. კვლავ ბრძანების მოლოდინში ლაფშაზე მჯდომ ნეს-ტორს რომ ჩაუარა, სტუმარმა ვეებერთელა მსუქანი ხელი გავაზე შემოკრა ამლაყს.

— როგორი ხატაველია, — წარმოთქვა მან, — ასეთი ლაფშა მეც მყავდა, გახსოვს, გეუბნებოდი?

მასპინძელი მიხვდა, — ჩემს ცხენებზე აღარ ლაპარაკობენო და ყური აღარ ათხოვა. სულ უკან-უკან იხედებოდა და კვლავ უმზერდა რემას.

ანაზდად ზედ მის ყურთან გაისმა ყრუ, უნიათო, ბებრული ჭიხვინი. ეს ამლაყმა დაი-ჭიხვინა, ხოლო აღარც დაუმთავრებია და, თითქოს შერცხვაო, ხმა ჩაიკმინდა. არც სტუმარმა და არც მასპინძელმა ყურადღება არ მიაქციეს ამ ჭიხვინს და შინისკენ გა-ემართნენ. იმ ჩაფრაქებულ მოხუცში ფეხმარდმა იცნო თავისი საყვარელი ბატონი, ერთ დროს ბრწყინვალე, მდიდარი და ლამაზი სერპუხოვსკოი.

X

ისევ ჟინჟღლავდა. ბაკში ბურუსი იდგა, ბატონის სახლში კი სულ სხვა ამბავი იყო. იმ საღამოს მასპინძლისას მდიდრულად მორთულ სასტუმრო ოთახში ჩინებულ ჩაის შეექცეოდნენ. ჩაის უსხდნენ მასპინძელი, დიასახლისი და სტუმარი.

სამოვართან დიასახლისი იჯდა. ის ფეხმძიმედ იყო, რასაც ადასტურებდა წამოზრდი-ლი მუცელი, ზედმეტად წელში გამართული, შეთქვირებული ტანი და განსაკუთრე-ბით თვალები, თვითნებურად და თავმომწონედ მჭვრეტელი დიდრონი თვალები.

მასპინძელს ეჭირა ყუთი საგულისგულოდ შენახული ათწლიანი სიგარეტებისა, რო-მელთა მსგავსი, მისი სიტყვებით, არავის გააჩნდა, და ლამობდა თავი მოეწონებინა სტუმართან. მასპინძელი გახლდათ კალმით ნახატი 25 წლის ყმაწვილი კაცი, აზი-ზად ნაპატიები, თმადაარცხნილი. საშინაოდ ეცვა ლონდონში შეკერილი ახალი ფაშ-ფაშა ხალვათი ტანისამოსი. ძეწკვზე ეკიდა მსხვილი ძვირფასი ბრელოკები. პერანგის სამაჯურები ფირუზისთვლიანი ოქროს ვებერთელა საკინძებით შეებნია. წვერი ნაპო-ლეონ მესამისებურად დაეყენებინა და პომადაწასმული თაგვისკუდა ულვაშები ისე აეგრიხა, როგორადაც მხოლოდ პარიზში თუ მოახერხებდნენ.

დიასახლისს ეცვა დიდრონ ჭრელ-ჭრელთაიგულებიანი აბრეშუმის კაბა; არც მთლად საკუთარი, მაგრამ მშვენიერი, სქელი ქერა თმა დაემაგრებინა რაღაც განსაკუთრებუ-ლი, ოქროს მსხვილი სარჭებით. ხელებს უმშვენებდა უამრავი ძვირფასი სამაჯური და ბეჭედი.

სამოვარი ვერცხლისა იყო, სერვიზი საიშვიათო. კართან ქანდაკებასავით აღმართუ-ლიყო ფრაკში, თეთრ ჟილეტსა და ჰალსტუხში საუცხოოდ გამოწყობილი ფარეში და ელოდა განკარგულებას. ოთახში იდგა კრიალა გრეხილი ავეჯი; კედელს ფარავდა დიდრონი ყვავილებით აფერადებული მუქი შპალერი. მაგიდასთან ვერცხლის ძეწკვს აწკრიალებდა არაჩვეულებრივად მოხდენილი, კოხტა მწევარი. მას ერქვა გასაოცრად ძნელი ინგლისური სახელი, რომლის წარმოთქმა მეტისმეტად უჭირდათ ინგლისურის უცოდინარ მასპინძლებს.

კუთხეში იდგა ყვავილებში ჩაფლული ინკრუსტირებული ფორტეპიანო: ყველაფერს სიახლის, სიმდიდრისა და იშვიათობის ელფერი დაჰკრავდა. ყველაფერი საუცხოო იყო, მაგრამ ყველაფერს ემჩნეოდა მოყირჭების, ფუფუნებისა და გონებრივ ინტერეს-თა უქონლობის კვალი.

მასპინძელი გახლდათ თოხარიკი ცხენების მოყვარული, ჯან-ღონით სავსე, მეტისმე-ტად ხალისიანი ადამიანი, ერთი იმათთაგანი, არასდროს რომ გამოილევიან ამ ქვეყ-ნად; ატარებენ სიასამურის ქურქს, თაიგულებით ასაჩუქრებენ მსახიობ ქალებს, ყვე-ლაზე ძვირფას სასტუმროში შეექცევიან ყველაზე ძვირფას და საუკეთესო ხარისხის ღვინოს. არიგებენ თავისი სახელობის ჯილდოებს და ჰყავთ ყველაზე ძვირფასი...

სტუმარი ნიკიტა სერპუხოვსკოი იქნებოდა ასე ორმოციოდე წლის კაცი, მაღალი, სქელ-სქელი, მელოტი, გრძელულვაშებიანი და ბაკენბარდებიანი. იგი ალბათ ძალიან ლამაზი უნდა ყოფილიყო. ახლა კი ფიზიკურად, მორალურად და ქონებრივად დაბე-ჩავებული ჩანდა.

იმდენი ვალი ჰქონდა, რომ დაპატიმრების შიშით უნდა ემსახურა. ახლა მიემგზავრე-ბოდა ერთ საგუბერნიო ქალაქში ცხენთსაშენის უფროსად. ეს ადგილი მისმა წარჩი-ნებულმა ნათესავებმა გამოუსარჯლეს.

ეცვა სამხედრო კიტელი და ლურჯი შარვალი. კიტელი და შარვალი ისეთი იყო, როგორსაც მდიდარი კაცის მეტი ვერავინ შეიკერავდა, ასეთივე გახლდათ თეთრეუ-ლიც. საათიც ინგლისური ჰქონდა. რაღაც არაჩვეულებრივი იყო მისი სქელლანჩებია-ნი ჩექმები.

ნიკიტა სერპუხოვსკოის თავის სიცოცხლეში ორ მილიონად ღირებული ქონება გა-ეფლანგა და ახლა 120 ათასი მანეთი ვალი ჰქონდა. ასეთი თანხით ყოველთვის მოსა-ხერხებელია კვლავ განცხრომით იპარპაშოს ადამიანმა, ჰქონდეს სესხი და საშუალე-ბა ფუფუნებით და ხელგაშლილად იცხოვროს ერთ ათიოდე წელიწადს.

ეს ათი წელი უკვე ილეოდა და პარპაშსაც ბოლო ეღებოდა. ნიკიტასათვის კი ცხოვ-რება მოსაწყენი გახდა. ხელი მიჰყო სმას, ღვინო სწრაფად ეკიდებოდა, რაც წინათ არ ემართებოდა. კაცმა რომ თქვას, სმას არასოდეს არც იწყებდა და არც ამთავრებ-და. მის ბეჩავობას ყველაზე მეტად ამჟღფავნებდა მოუსვენარი გამოხედვა (აქეთ-იქით თვალებს აცეცებდა), უღიმღამო ინტონაცია და მოძრაობა. ეს მოუსვენრობა იმით აო-ცებდა კაცს, რომ, ალბათ, ახლახან სწვეოდა მას, რადგან ჩანდა, დიდი ხანია შეჩვე-ოდა იმ აზრს, რომ მთელი სიცოცხლე არავისი და არაფრის შეშინებოდა. და ახლა, სულ რამდენიმე ხნის წინათ, უმძიმესი ტანჯვა-წამებით ჩაწვდომოდა ამ შიშს, რაც ესოდენ არ შეეფერებოდა მის ბუნებას.

მასპინძელი და დიასახლისი ამჩნევდნენ ამას და ურთიერთგაგების ნიშნად გადახე-დავდნენ ერთმანეთს. ეტყობოდათ, ამ საგნის დაწვრილებით განხილვას მხოლოდ და-ძინებისას აპირებდნენ და ითმენდნენ საბრალო ნიკიტას იქ ყოფნას. ელოლიავებოდ-ნენ კიდეც.

ახალგაზრდა მასპინძლის ბედნიერება ჰბღალავდა ნიკიტას ღირსებას და, თავისი და-კარგული წარსულის მოგონებისას, აიძულებდა ავადმყოფური შური აღძვროდა გულ-ში.

— რაო, სიგარა ხომ არ გწყენთ, მარი? — ქალს იმ განსაკუთრებული და მხოლოდ გამოცდილებით შეძენილი თავაზიანობით, მეგობრული, მაგრამ არა სავსებით პატი-ვისმდებელი კილოთი მიმართა, როგორითაც ელაპარაკებიან მაღალი საზოგადოების მცოდნე ადამიანები თავიანთ ხარჭებს — ცოლებისაგან განსხვავებით. სულაც არ უფიქრია შეურაცხყოფა: პირიქით, ალბათ ახლა სურდა ესიამოვნებინა ქალისა და მისი პატრონისათვის. თუმცა თავის თავთანაც კი არაფრით აღიარებდა ამას. მაგრამ უკვე შეეჩვია ასეთ ქალებთან ამდაგვარ ლაპარაკს. იცოდა, ქალს თვითონვე გაუკვირ-დებოდა, შეურაცხყოფადაც კი მიიჩნევდა, თუ ისე მოეპყრობოდა მას, როგორც ქალს. მასთან უნდა შეენარჩუნებინა თავაზიანი კილოს მკაფიო იერი თავისი ტოლის ცო-ლისათვის. ასეთ ქალებს ყოველთვის პატივისცემით ექცეოდა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ იზიარებდა ჟურნალებში (მას არასოდეს წაუკითხავს ეს საძაგლობა) ნაქადაგევ ეგრეთ წოდებულ შეხედულებებს თითოეული ადამიანის პიროვნების პატივისცემაზე, ქორწინების არარაობასა და ა. შ. არამედ იმიტომ, რომ ასე იქცეოდა ყველა წესიერი ადამიანი. ის კი, თუმცა ბეჩავი, მაგრამ მაინც წესიერი ადამიანი გახლდათ.

ხელი მოკიდა ერთ სიგარას. მაგრამ მასპინძელმა მუჭით უხერხულად აიღო სიგარა და სტუმარს შესთავაზა.

— არა, ნახავ, რა საუცხოოა. გამომართვი.

ნიკიტამ უარი უთხრა, ოდნავ შესამჩნევი შეურაცხყოფითა და სირცხვილით აუელ-ვარდა თვალები.

— გმადლობთ, — მან ამოიღო სიგარების კოლოფი. — ჩემი გასინჯე.

გულისხმიერმა დიასახლისმა შეამჩნია ეს და სასწრაფოდ გამოელაპარაკა.

— ძალიან მიყვარს სიგარები. თვითონ მოვწევდი, ჩემს იგვლივ ყველა რომ არ ეწეო-დეს.

და გაიღიმა ლამაზი სათნო ღიმილით. საპასუხოდ ნიკიტამაც გაუღიმა უილაჯოდ. ორი კბილი აკლდა.

— არა, ეს გამომართვი, — განაგრძობდა ტლანქი მასპინძელი. — სხვები უფრო მჩა-ტეა. ფრიც, Вრინგენ სიე ნოცჰ ეინე კასტენ, — უთხრა მან, — დორტ ზწეი.1 (1 გამოიტანეთ კი-დევ ერთი კოლოფი, იქ ორია.)

გერმანელმა ფარეშმა მოართვა მეორე კოლოფი.

— როგორი სიგარები უფრო გიყვარს? მაგარი, ხომ? ეს ძალიან კარგია. ყველა წაი-ღე, — განაგრძობდა ის და ჯიბეში უჩრიდა სიგარებს. ალბათ უხაროდა, რომ შეეძ-ლო ვისმეს წინაშე დატრაბახება თავისი საუცხოო სიგარებით, და აღარაფერს ამ-ჩნევდა. სერპუხოვსკოიმ გააბოლა და საჩქაროდ განაგრძო დაწყებული საუბარი.

— მაშ რამდენი დაგიჯდა ატლასურა? — ჰკითხა მან.

— ძალიან ძვირი, სულ მცირე — ხუთი ათასი, ყოველ შემთხვევაში, დარდი აღარაფ-რისა მაქვს. მერე რა შვილები ჰყავს.

— კარგად დაქრიან? — იკითხა სერპუხოვსკოიმ.

— საუცხოოდ. ამას წინათ მისმა შვილმა სამი ჯილდო მიიღო: ტულაში, მოსკოვსა და პეტერბურგში. ვოევიკოვის შავრას შეეჯიბრა. იმ მამაძაღლმა მხედარმა ოთხჯერ აურია ჭენების დროს, თორემ დროშებამდე ჩამოიტოვებდა.

— ჯერ ცოტათი უნდილია: ჰოლანდიურობა საკმაოდ ემჩნევა, — უთხრა სერპხოვ-სკოიმ.

— მაშ, ფაშატი ცხენები რის მაქნისიღა არიან? ხვალ გაჩვენებ. ნებიერი სამი ათა-სად ვიყიდე, საყვარელი ორი ათასად.

და მასპინძელმა კვლავ იწყო თავისი დოვლათის ჩამოთვლა. დიასახლისი ხედავდა, სერპუხოვსკოის რომ უმძიმდა და თავს იკატუნებდა, ვითომცდა ყურს ვუგდებო.

— ჩაის ხომ არ მიირთმევთ? — იკითხა დიასახლისმა.

— არა, — მიუგო მასპინძელმა და განაგრძო ამბავი.

ქალი წამოდგა, მასპინძელმა შეაჩერა იგი, ხელი მოხვია და გადაკოცნა. სერპუხოვ-სკოის მათ დანახვაზე არაბუნებრივმა ღიმილმა გაუპო ბაგე, მაგრამ, როცა მასპინძე-ლი წამოდგა, ქალს ხელი მოხვია და მიაცილა ფარდებამდე, ნიკიტას სახე ანაზდად შეეცვალა, მძიმედ ამოიხვნეშა და გაფიჟვინებულ სახეზე უცბად სასოწარკვეთა აესა-ხა. ის კი არადა, ღვარძლიანიც კი გაუხდა.

XI

მასპინძელი დაბრუნდა და ღიმილით წინ დაუჯდა ნიკიტას. დუმდნენ.

— შენ ხომ ამბობდი, ვოევიკოვისგან ვიყიდეო? — თითქოს დაუდევრად წარმოთქვა სერპუხოვსკოიმ.

— დიახ, ხომ გითხარი, ატლასურა-მეთქი, სულ მინდოდა დუბოვიცკისაგან მეყიდა ფაშატი, მაგრამ უვარგისები დარჩენოდა.

— გაკოტრდა, — წარმოთქვა სერპუხოვსკოიმ, უცბად შეჩერდა და მიმოიხედა. გაახ-სენდა, სწორედ ამ გაკოტრებულის ოცი ათასი მმართებსო, და თუ ვინმეზე ამბობენ, `გაკოტრდაო~, ამას ჩემზე იტყვიანო. გაეცინა.

ორივენი კვლავ დიდხანს დუმდნენ. მასპინძელი ფიქრობდა, რით დავიტრაბახო სტუ-მართანო. სერპუხოვსკოი იგონებდა, რა ვიღონო, გაკოტრებულად რომ არ ჩამთვალო-სო. მაგრამ ორივეს აზრი ღიმღამობდა, მიუხედავად იმისა, რომ ორივენი ცდილობ-დნენ სიგარებით გაემხნევებინათ თავი.

`აბა, როდისღა უნდა დავლიოთ?~ — ფიქრობდა სერპუხოვსკოი. `აუცილებლად უნ-და დავლიოთ, თორემ მასთან სევდა მომინელებს~, — ფიქრობდა მასპინძელი.

— რას იზამ, აქ დიდხანს დარჩები? — იკითხა სერპუხოვსკოიმ.

— ერთ თვეს კიდევ. აბა, ახლა კი ვივახშმოთ. ფრიც, მზად არის?

ისინი გავიდნენ სასადილო ოთახში, სადაც ლამპის ქვეშ იდგა მაგიდა. ზედ ელაგა სანთლები და ფრიად არაჩვეულებრივი რამერუმეები. საცობიანი სიფონები და ფია-ლები, არაჩვეულებრივი ღვინით სავსე გრაფინები, საუცხოო საუზმე და არაყი. სვეს და ჭამეს, კვლავ სვეს და ჭამეს, და მერე მუსაიფი გააბეს. სერპუხოვსკოი წამოჭარ-ხლდა და თამამად ალაპარაკდა.

ისინი ლაპარაკობდნენ ქალებზე. ვის როგორი ჰყავდა: ბოშა, მოცეკვავ, თუ ფრანგი ქალი.

— რაო, თავი მიანებე მატიეს? — ჰკითხა მასპინძელმა.

ეს იყო სერპუხოვსკოის გამკოტრებელი ხარჭა.

— მე კი არა, თვითონ მიმატოვა. ეჰ, ძმობილო, რომ მომაგონდება, რაც ჩემს სიცოც-ხლეში გამიფლანგავს!.. ახლა მიხარია კიდეც, ათასი მანეთი რომ გამიჩნდება. მერ-წმუნე, წამსვე ყველაფერს თავს დავანებებ. მოსკოვში წასვლა კი არ შემიძლია. აბა, რა სათქმელია.

მასპინძელს მოსწყინდა სერპუხოვსკოის მოსმენა. უნდოდა თავის თავზე ლაპარაკი, დატრაბახება. ხოლო სერპუხოვსკოის ეწადა ლაპარაკი, დატრაბახება. ხოლო სერპუ-ხოვსკოის ეწადა ელაპარაკნა თავის თავზე, თავის ბრწყინვალე წარსულზე. მასპინ-ძელმა ღვინო დაუსხა და ელოდა, როდის დაამთავრებდა, რომ თავისი ამბები მოეთ-ხრო: როგორ ჰქონდა ახლა მოწყობილი ცხენთსაშენი. უწინ ასეთი არავის ჰქონიაო. და ჩემს მარის ფულისთვის კი არა, სულითა და გულით ვუყვარვარო.

— შენთვის უნდა მეთქვა, რომ ჩემს ცხენთსაშენში... — ის იყო წამოიწყო მან, მაგ-რამ სერპუხოვსკოიმ სიტყვა გააწყვეტინა.

— იყო დრო, შემიძლია ვთქვა, — დაიწყო მანაც, — რომ მიყვარდა და ვიცოდი კი-დეც დროს გატარება: აი შენ მეუბნებოდი, ცხენთა სრბოლაზე. აბა, მითხარი, რომე-ლი გყავს ყველაზე მარდი ცხენი?

მასპინძელი გაახარა შემთხვევამ, კვლავ ჩემს ცხენთსაშენზე ვუამბობო, და ის იყო წამოიწყო კიდეც, მაგრამ სერპუხოვსკოიმ კვლავ შეაწყვეტინა.

— დიახ, ასეა, — წარმოთქვა მან, — თქვენ, ცხენთსაშენის პატრონებს, ცხენები ხომ პატივმოყვარეობის გამო გყავთ და არა სიამოვნებისათვის ან დროს გასატარებლად. მე კი ასე როდი ვიყავი. აი წეღანაც გელაპარაკებოდი, მყავდა ეტლში შესაბმელი ერ-თი ამლაყი ცხენი, ისეთი ხატაველი, შენს მეჯოგეს რომ ჰყავს. აი, ცხენი ის იყო! ვერ წარმოიდგენ: ეს მოხდა 42 წელში, ის-ის იყო ჩავედი მოსკოვში, გავეშურე ჩარ-ჩთან და რას ვხედავ: ჩემს წინ იდგა ამლაყი ლაფშა. საუცხოო აღნაგობა ჰქონდა. მომეწონა და ვიყიდე. შემდეგ დავატარებდი. ასეთი ცხენი არც მე მყოლია, არც შენ, და არც გეყოლება. უკეთესი ცხენი ჩემს დღეში აღარ მინახავს არც სიარულით, არც ძალ-ღონითა და არც სილამაზით. მაშინ ბალღი იყავი, არ გეცოდინება, მაგრამ გა-გეგონება უთუოდ, ასე ვფიქრობ. მთელი მოსკოვი იცნობდა.

— დიახ, გამიგონია, — უგულოდ წარმოთქვა მასპინძელმა, — მაგრამ მინდოდა მეამ-ბნა ჩემი...

— გაგიგონია ხომ? ისე ვიყიდე, უჯიშო იყო, ატესტატი არ ჰქონდა, შემდეგ კი გავი-ცანი. მე და ვოევიკოვმა გამოვიძიეთ ყველაფერი. ეს იყო ბედაურ პირველის შვილი, ფეხმარდი, მარდად დაქროდა, სიჭრელის გამო ხრენოვების ცხენთსაშენიდან უფროს მეჯინიბეს აჩუქეს, მან კი დაკოდა და ჩარჩს მიჰყიდა. ასეთი ცხენები უკვე აღარ მო-იპოვებიან ამქვეყნად, მეგობარო! ჰეი, შენ ჩემო ყმაწვილკაცობავ! — ჩაიღიღინა ბო-შური სიმღერის სიტყვები. უკვე შეზარხოშდა. — ეჰ, რა კარგი დრო იყო. 25 წლისა ვიყავი, 80 ათასი წლიური შემოსავალი მქონდა, არც ერთი ჭაღარა, მარგალიტივით მიჯრილი კბილები... რასაც მოვინდომებდი, დამში მოდიოდა, და ყველაფერ ამას ბო-ლო მოეღო...

— მაგრამ მაშინ არ გააჩნდათ ის სიმარდე, — წარმოთქვა მასპინძელმა, როცა დრო იხელთა სტუმრის შეყოვნებით. — გეტყვი მე შენ, ჩემი პირველი ცხენები ისე დაჭე-ნობდნენ, რომ...

— შენი ცხენები მაშინ უფრო ფეხმარდები იყვნენ.

— როგორ თუ უფრო ფეხმარდები?

— დიახ, უფრო ფეხმარდები. გუშინდელივით მახსოვს, იმ ცხენით ერთხელ მოსკოვ-ში წავედი დოღზე. ჩემი ცხენები არ გამოდიოდნენ. არასოდეს მყვარებია თოხარიკი ცხენები, სულ ჯიშიანები მყავდა: გენერალი, შოკლე და მაჰმადი. ამლაყით მე დავდი-ოდი. კარგი მეეტლე მყავდა, ძალიან მიყვარდა. ისიც გალოთდა. ჰოდა, ჩავედი მოს-კოვში. აბა, სერპუხოვსკოი, — მეუბნებიან, — როდის გაიჩენ თოხარიკ ცხენებსო. თქვენებურ ჯაგლაგა ცხენებს? ჯანდაბამდისაც გზა ჰქონიათ, ჩემი მეეტლის ამლაყი ყველა თქვენს ბედაურს გაუსწრებს-მეთქი. არა, ვერ გაუსწრებსო. დავნაძლევდით 1000 მანეთზე. გავუშვით, ხუთი წამით გაასწრო. 1000 მანეთი მოვიგე. და განა მარტო ეს იყო? ერთხელ ბედაურშებმული სამცხენათი 100 ვერსი 3 საათში გავირბინე. მთელმა მოსკოვმა იცის ეს ამბავი.

და სერპუხოვსკოიმ ისე ლამაზად და უსასრულოდ შეტოპა ტყუილებში, რომ მასპინ-ძელმა ვერ მოახერხა ვერც ერთი სიტყვის ჩართვა და პირქუშად იჯდა მის წინ, მხო-ლოდ ჯავრის გასაქარვებლად ღვინით ავსებდა თავისსა და სტუმრის ჭიქებს.

ინათა, მაინც ისხდნენ. მასპინძელმა საშინლად მოიწყინა. წამოდგა.

— თუ დაძინებაა, დაძინება იყოს, — წარმოთქვა სერპუხოვსკოიმ, წამოდგა, და, ბარ-ბაცითა და ერთი ქშენა-ხვნეშით გაემართა მისთვის მიჩენილი ოთახისაკენ...

მასპინძელი ხარჭას უწვა გვერდით.

— არა, მეტისმეტად აუტანელია. გამოიბრუშა და მოხსნა თავი ტყუილების გუდას.

— მეც მეარშიყება.

— ვშიშობ, ვაითუ ფული მთხოვოს.

სერპუხოვსკოი ტანთგაუხდელი იწვა ლოგინზე და ქშინავდა.

`მგონი, ბევრი დავახეთქე, — გაიფიქრა მან. — ეჰ, სულ ერთია! ღვინო კარგი იყო, მაგრამ თვითონ დიდი ღორი კია. რაღაც ვაჭრული გუნებისაა. მეც კარგი ღორი ვარ, — წარმოთქვა თავისთვის და გადიხარხარა. — ხან მე ვარჩენდი, ხან მე მარჩენდნენ, დიახ, ვინკლერის ქალი მარჩენს, მისგან ფულს ვღებულობ. ასე მოუხდება. ტანთ უნ-და გავიხადო. ჩექმებს ვინ გამაძრობს~.

— ჰეი! ჰეი! — გასძახა მან, მაგრამ დიდი ხანია დასაძინებლად წასულიყო მსახურად მიჩენილი კაცი.

სერპუხოვსკოი წამოჯდა. გაიხადა კიტელი. როგორც იყო, ჩაიჩაჩა ჟილეტი და შარვა-ლი; მაგრამ ჩექმას დიდხანს ვერაფერი მოუხერხა, ფაფუკი ღიპი უშლიდა. როგორც იქნა, გაიხადა ერთი, მეორე კი... დიდხანს იწვალა და გაიტანჯა: ქშენა აუვარდა და ქანცი გამოელია. და ასე, ჩექმის ყელში ფეხგაჩრილი, ჩაეცა ლოგინში და ხვრინვა ამოუშვა, თან თამბაქოს, ღვინისა და საზიზღარი მიხრწნილების სუნით ააყროლა მთელი ოთახი.

XII

ფეხმარდს კვლავ რაიმე უნდა მოეგონებინა იმ ღამით. მაგრამ ვასკამ გაართო. ზურ-გზე ასალი შემოადო, მოახტა და გააჭენა. გათენებამდე თავჩამობმული ჰყავდა სამი-კიტნოს კართან ერთი გლეხის ცხენის გვერდით. ისინი ერთმანეთს ლოკავდნენ. დი-ლით ამლაყი რემას შეერია და სულ იქექებოდა.

`რაღაც საშინლად მექავება~, — ფიქრობდა იგი.

გავიდა ხუთი დღე. მოუხმეს ბეითალს. სიხარულით წარმოთქვა:

— ქეცი გასჩენია, რა იქნება, ბოშებს მივყიდოთ.

— რატომ. ახლავე გამოსჭერით ყელი, დროა ფეხები გაფშიკოს.

წყნარი, მოწმენდილი დილა იყო. რემა მინდორში გამოეფინა, ფეხმარდი ბაკში დარ-ჩა. მოვიდა ერთი უცნაური კაცი, ხმელ-ხმელი, შავტუხა, ჭუჭყიანი, შავი ხიფთანი რაღაცით ჰქონდა მოთხვრილი. ეს იყო სალახი. ხელი მოჰკიდა ფეხმარდის ავშარას ისე, რომ არც კი შეუხედავს ცხენისთვის, და გაუძღვა. ფეხმარდი გაჰყვა მშვიდად, უკანმოუხედავად. როგორც ყოველთვის, მიათრევდა ფეხებს და გავით ეხახუნებოდა თივას. ჭიშკარს რომ გასცდა, ჭისაკენ გაიწია, მაგრამ სალახმა ავშარა მოქაჩა და უთხრა: აღარაა საჭირო~.

სალახს ვასკა მოსდევდა. აგურის ფარდულს გადაღმა ღარტაფში ჩავიდნენ და, ამ მე-ტად უბრალო ადგილას, თითქოს რაღაც განსაკუთრებული ყოფილიყოს, შეჩერდნენ: სალახმა ავშარა ვასკას გადასცა, გაიხადა ხიფთანი, წაიკაპიწა და ამოიღო დანა და ქასრი. ლაფშა ავშარის სადავეს წაეტანა, თავგასართველად ღეჭვა მოუნდა, მაგრამ ვერ მისწვდა. ამოიოხრა და თვალები დახუჭა. ქვიქვირი ჩამოეკიდა. გამოხრული ჩაყ-ვითლებული კბილები გამოუჩნდა, დანის ლესვის ხმაზე ჩათვლიმა. მხოლოდ მტკივა-ნი დაბრეცილი ათრეული ფეხი უკანკალებდა. უცბად იგრძნო, ქვედა ყბებში ხელი წაავლეს და თავი წამოუწიეს. თვალები გაახილა. წინ ორი ძაღლი დაინახა. ერთი ჰა-ერს ყნოსავდა, მეორე იქვე ჩაცუცქულიყო და ლაფშას შეჰყურებდა, თითქოს სწორედ მისგან მოელოდა რაღაცას. ლაფშამ ახედ-დახედა ხელს, რომელსაც ავშარა ეჭირა.

`ალბათ უნდა მიმკურნალონო, — გაიფიქრა მან. — მათი ნებაა!~ და მართლაც იგ-რძნო, რაღაც დამართეს მის ყელს. ეტკინა და შეკრთა. წაბარბაცდა, მაგრამ თავი შე-იკავა და დაელოდა, რა მოხდებაო... მერე მოხდა ის, რომ რაღაც წყალ-წყალა სითხე ძალუმ ნაკადად ჩამოეღვარა კისერსა და მკერდზე. ღრმად ამოიხვნეშა და მეტისმეტი შვება იგრძნო.

უმსუბუქდებოდა მთელი სიცოცხლის ტვირთი.

თვალები დახუჭა და თავი ჩაქინდრა, — არავინ შეაშველა ხელი. შემდეგ ფეხები აუ-ცახცახდა, მთელი სხეული აუტორტმანდა. არ შეშინებია. უფო გაუკვიდა...

ყველაფერი შეიცვალა. გაოცდა და ადგილიდან მოწყდა, თან შეხტომას ლამობდა, მაგრამ, როგორც კი დაიძრა, ფეხები აებლანდა, ნელ-ნელა ეცემოდა, და როცა მოინ-დომა ფეხის მონაცვლება, წაბარბაცდა და მარცხენა ფერდზე გადაწვა.

სალახი დაელოდა, როდის შეწყვეტდა ცახცახს, გარეკა ძაღლები, შემდეგ ფეხებში სწვდა ლაფშას, პირაღმა გადმოაბრუნა, უბრძანა ვასკას, ფეხი გეჭიროსო, და შეუდგა გატყავებას.

— ესეც ცხენი იყო რაღა, — თქვა ვასკამ.

— უფრო მსუქანი რომ ყოფილიყო, კარგი ტყავი ექნებოდა, — წარმოთქვა სალახმა.

საღამოს გორაკიდან ჩამოეფინა რემა, მარცხენა მხრიდან მომავლებმა ღარტაფში და-ინახეს რაღაც წითელი საგანი, რომლის გარშემო ძაღლები დასუნსულებდნენ და ყვავ-ყორნები დაფარფატებდნენ. ერთი ძაღლი თათებით ჩაფრენოდა ლეშს და გაშმა-გებით გლეჯდა ხორცს. ქურანა კვიცი შეჩერდა, თავი და კისერი წაიგრძელა და კარგა ხანს ისუნთქავდა ჰაერს. რის ყოფით მოაშორეს იქაურობას.

უთენია, ქვემოთ, ტაფობში მიმდგარი უსიერი ტყის ხევთან მხიარულად ყმუოდნენ თავკომბალა მგლის ლეკვები. ხუთნი იყვნენ: ოთხი მათგანი ტოლები იყვნენ, ერთი კი პატარა, ტანზე დიდი თავი ჰქონდა. ბუჩქებიდან გამოძვრა გამხდარი და გახუზუ-ლი ძუ მგელი, მიწაზე მიათრევდა დაჩუტულძუძუებიან გატიკნულ მუცელს; ლეკვებ-თან წამოჯდა. ლეკვები ნახევარწრედ ჩაცუცქდნენ მის წინ. მგელი მიუახლოვდა ყვე-ლაზე პატარას, ჩაიჩოქა და დრუნჩი ძირს დაიღო, რამდენიმეჯერ მოიკრუნჩხა, დააბ-ჩინა კბილებით სავსე ხახა, გაიჭინთა და ცხენის ხორცის ზორბა ნაჭერი ამოანთხია. უფრო მოზრდილი ლეკვები მიესივნენ, მაგრამ მგელმა მუქარით შეუტია მათ და ყვე-ლაფერი იმ პატარას დაანება. თითქოს განრისხებულმა პატარა ლეკვმა ღრენით ქვეშ მოიგდო ხორცი და ხარბად შეუდგა თქვლეფას. ძუ მგელმა ასევე გადმოუნთხია მეორესაც, მესამესაც და მთელ ხუთეულს, შემდეგ წამოწვა მათ ახლოს და ქარი ამოიღო.

ერთი კვირის შემდეგ აგურის ფარდულთან მხოლოდ ზორბა ქალა და ორი ტაბუხის თავი ეგდო; დანარჩენი ყველაფერი დაიტაცეს. ზაფხულში ძვლების შემგროვებელმა გლეხმა წაიღო ეს ტაბუხის თავებიც და გაასაქმისა.

ქვეყნისქვეყნად მოხეტიალე, ბედოვლათი და ლოთიბაში სერპუხოვსკოის ცხედარი უფრო მოგვიანებით ჩასტენეს მიწაში: არაფრად გამოდგა არც მისი ტყავი, არც ხორ-ცი, არც ძვლები.

ხოლო, რადგან უკვე ოცი წელი იყო, რაც ყველას ნამეტნავად მოაძულა თავი ქვეყ-ნად მოხეტიალე მისმა უსიცოცხლო ლეშმა, ამ ლეშის ანდერძის აგებაც მხოლოდ ზედმეტი თავსატეხი საქმე გახდა ადამიანისათვის. დიდი ხანია აღარავის სჭირდებო-და იგი, უკვე ყველას მძიმე ტვირთად აწვა, მაგრამ მაინც მკვდრების დამმარხველმა მკვდრებმა საჭიროდ მიიჩნიეს კაგი მუნდირი და კარგი ჩექმები ჩაეცმიათ მყისვე ამ-ყრალებული გათქვირებული ცხედრისათვის, ჩაეტენათ ოთხივე კუთხეში ახალთახალ ფოჩებიან კარგ კუბოში, შემდეგ ეს ახალი კუბო ჩაედოთ მეორე ტყვიის კუბოში, და წაეღოთ მოსკოვს, იქ გადაექექათ მამა-პაპათა ძვლები და სწორედ იქ ჩაეჩუმქრათ ახალ მუნდირსა და გაპრიალებულ ჩექმებში გამოწყობილი ეს აყროლებული, მატლე-ბით სავსე ცხედარი. და მერე მიწა მიეყარათ ყველაფრისათვის.